სსრ. საბჭოთაფი.
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 37 (18579) კვირა, 13 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ნუ გგონიათ,
თითქოს შვილს
მაშინ ზრდიდეთ,
როცა ელაპარაკებით
ან რაიმეს ასწავლით
ან უბრძანებთ.
თქვენ მის აღზრდას
ეწევით თქვენი
ცხოვრების ყოველი
მომენტით, მაშინაც,
როცა შინ არა ხართ.

ა. მაკარენკო.

# მამა



ყველა მშობელს სურს, შვილი ბედნიერი ჰყავდეს. მაინც როგორია ბედნიერი ბავშვი, ბედნიერი ადამიანი? რა თქმა უნდა, ჯანმრთელი და ხალისიანი, ჭკვიანი და კეთილი, თავისი საქმით გატაცებული, კაცთმოყვარე და ყველასთვის საყვარელი, საზოგადოებაში აღიარებული და დაფასებული.

ასეთი რომ გაიზარდოს, ჩვენს ქვეყანაში მისთვის ბევრი ზრუნავს: ექიმები, მასწავლებლები, ოსტატები, დამრიგებლები, კომკავშირი, პარტია და მთავრობა, საერთოდ მთელი საზოგადოებრიობა. უნინარეს ყოვლისა კი ოჯახი, დედ-მამა. ეს ორი ადამიანია ბავშვის ბედის გამრიგე. ამათი წყალობით უნდა ექცეს მას ბავშვობის ნლები „ბედნიერ, ბედნიერ, დაუბრუნებელ ხანად“.

ვინ იცის, რამდენი თქმულა და დაწერილა დედის ღვაწლსა და ამაგზე! დედობის წმიდათაწმიდა გრძნობას უკვდავი საგალობლები უძღვნა მსოფლიო პოეზიამ, მხატვრობამ, ქანდაკებამ, მუსიკამ, და ეს გასაგებია: დედობა ხომ უზარმაზარი სულიერი და ფიზიკური ჯაფაა! დაულეველია დედობრივი სიყვარული, განსაცვიფრებელია დედის კეთილშობილება, სიბრძნე და უანგარობა, მისი საოცარი უნარი შვილის სულში ნვდომისა, მისი დაუოკებელი სწრაფვა შვილის კარგ ადამიანად აღზრდისათვის.

და ყველაფერ ამაში მას მხარში უდგას მამა. მამა, რომლის სახე, იქნებ ცოტა დაჩრდილა კიდეც დედის საყოველთაოდ აღიარებულმა კულტმა, მაგრამ ურომლისოდ წარმოუდგენელია ყმანვილის, მოზარდი თაობის აღზრდის პროცესი. კარგი მამის გარეშე არ არსებობს კარგი აღზრდაო, — უთქვამს მწერალს.

მამა პატარასთვის ყველაფერია. ის ყველაზე ლონიერიც არის, ყველაზე სამართლიანიც, ყველაზე ხელმარჯვეც, ყველაზე დიდსულოვანიც. რა შთამბეჭდავია მამის სიტყვა! როგორი დაუვიწყარია მამის გაკვეთილი!

უძველესი დროიდან ასე ითვლება რომ დედა ზრდის და აყალიბებს შვილის გრძნობებს, მამა — გონებას. ამიტომ არ კმარა მამა მხოლოდ ფიზიკურად იყოს ძლიერი. ის ძლიერი უნდა იყოს სულითაც.

მამა ის კაცია, ვისაც ხელჩაკიდებულს შეჰყავს ბავშვი სიკეთისა და მშვენიერების სამყაროში, ვისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსათვის თავდადება, კაცთმოყვარეობა და სამართლიანობა უპირველესი ზნეობრივი გაკვეთილებია მომავალი მოქალაქისთვის.

ვიდრე ყმანვილი განსჯის უნარს შეიძენდეს, ის მშობლების მიბაძვით ცხოვრობს. და გვინდა თუ არა, მშობლების ცხოვრება თავისი სიხარულით, ნუხილით, ასე თუ ისე, აისახება მის ცნობიერებაში. ბავშვი ჩვენი სარკეა, ცოცხალი და მგრძნობიარე სარკე, ასე რომ, მამისაც ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი შვილს გადაეცემა ხოლმე. ჩვენგან სწავლობენ ბავშვები ბოროტებასთან ბრძოლას, პრინციპულობას, ჩვენგან სწავლობენ სიკეთის ქმნას და მიტევებას, სიყვარულს, სიძულვილს და გულგრილობას.

„ნუ გგონიათ, თითქოს შვილს მაშინ ზრდიდეთ, როცა ელაპარაკებით ან რაიმეს ასწავლით ან უბრძანებთ. თქვენ მის აღზრდას ეწევით თქვენი ცხოვრების ყოველი მომენტით. მაშინაც, როცა შინ არა ხართ, როგორ იცვამთ, როგორ ელაპარაკებით სხვა ადამიანებს და რას ამბობთ სხვებზე, როგორ გიხარიათ და წუხხართ, როგორ უმყრობით მეგობრებსა და მტრებს, როგორ იცინით, კითხულობთ გაზეთს, — ყველაფერ ამას ბავშვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს“ (ა. მაკარენკო).

არ შეიძლება მამა შვილს მაღალ ზნეობას ქადაგებდეს, თავისი ქცევით კი საწინააღმდეგო მაგალითს უჩვენებდეს: საჯაროდ ერთს აცხადებდეს, ოჯახში, ამხანაგებთან კი — მეორეს.

როგორ აღიზრდება ვაჟი ნამდვილ ვაჟკაცად, რაინდად, თუ მის თვალნინ მამა დედას შეურაცხყოფს, უდიერად ექცევა მოხუც მშობლებს? რა კეთილშობილება და დიდსულოვნება მოეთხოვება ეგოიზმის, ნიპილიზმის, აპოლიტიკურობის, ეროვნული შეზღუდულობის, ორპირობისა და სიხარბის ატმოსფეროში გაზრდილ ყმანვილს? შვილის აღზრდა ჯერ მშობლის თვითაღზრდით უნდა დაიწყოს — ეს ძველთაძველი ჭეშმარიტება ყველამ უნდა იცოდეს.

განუზომლად დიდია მშობლის პირადი მაგალითის ძალა, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო პირადი მაგალითიც არ არის საკმარისი. კარგი მამობა დიდი ჯაფაა, ყველაზე ძნელი, ყველაზე რთული, მაგრამ ყველაზე საამო მოვალეობა, რომელიც მომავალში დახარჯულ ფიზიკურ თუ სულიერ ძალებს ასმაგად ანაზღაურებს.

ცნობილია, რომ მოზარდის ზნეობრივი აღზრდის საფუძველი შრომითი აღზრდაა. ამ საქმეს ჩვენში ბევრი მეურვე ჰყავს, მაგრამ სკოლა, პროფტექნიკური სასწავლებელი და ინსტიტუტი ვერას გახდება, თუ შრომითი აღზრდის ბალავარი შინ, ოჯახში არ ჩაიდგა. შრომა კი შვილს დედასთან ერთად მამამ უნდა შეაყვაროს, მაგრამ როგორ? მამის პროფესიული კომპეტენტურობა ხომ მასზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს — შვილი სამსახურში მის საქმიანობას ვერ ხედავს.

ყველაზე საუკეთესო სკოლა ყმაწვილისთვის ოჯახში შრომის დანანილება გახლავთ. როცა ბავშვი ხედავს, რომ მამაცა და ოჯახის სხვა წევრებიც ეხმარებიან დედას, დიასახლისს ოჯახის გაძღოლაში, თვითონაც ხალისით მონაწილეობს საერთო საქმეში.

მამამ უნდა წაახალისოს, მიაჩვიოს შვილი იმას, რომ რასაც ხელს მოკიდებს, რიგიანად გააკეთოს და საქმე აუცილებლად ბოლომდე მიიყვანოს. მერე რა, თუ მაშინვე არ გამოუვიდა, სამაგიეროდ სიძნელეთა გადალახვას ისწავლის, შეუპოვარი იქნება, ეს კი საქმიანი ადამიანისათვის ფასდაუდებელი თვისებებია.

მოზარდის შრომითი აღზრდა მშობლების კონსტიტუციური მოვალეობაა: „საბჭოთა კავშირის მოქალაქენი ვალდებული არიან იზრუნონ შვილების აღზრდისათვის, მოამზადონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად“, — ნათქვამია ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში.

ოჯახის განმტკიცება და ღირსეული მომავალი თაობის აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი საზრუნავია ჩვენი ქვეყნის შექმნის პირველი დღეებიდანვე, ძირითადად, ამის გამო არის შემოღებული ჩვენში ხუთდღიანი სამუშაო კვირაც, ამ მიზანს ემსახურება საოჯახო პენსიონატების, დედათა და ბავშვთა სანატორიუმების სულ უფრო მზარდი მშენებლობა, მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური თუ მორალური წახალისება.

თუ რა დაუცხრომელ ზრუნვას იჩენს მომავალი მოქალაქის აღზრდისათვის საქართველოს კომპარტია, იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში არ მოწვეულა არც ერთი ფორუმი, ამ საშვილიშვილო საქმეზე მსჯელობა რომ არ ყოფილიყო. მარტო შარშან ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დადგენილება ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე.

და მაინც, სამწუხაროდ, თითებზე ჩამოსათვლელი რიდი გვყავს ისეთი მამები, რომლებიც თავს არიდებენ უპირველესი მოვალეობის შესრულებას. ზოგს ჰგონია, თითქოს შვილის აღზრდა მხოლოდ დედას უნდა მოეკითხოს, ზოგი მოუცლელობას იმიზეზებს...

მაგრამ, როცა სოციოლოგებმა გამოიკვლიეს, ვინ რამდენ ხანს უთმობს შვილების აღზრდას, აღმოჩნდა, რომ ნარჩენებული და სანიმუშო ყოფაქცევის მოსწავლეთა მშობლები სულაც არ ანდომებენ ამ საქმეს მეტ დროს, ვიდრე სწავლაში ჩამორჩენილი და უდისციპლინო ბავშვებისა. ესე იგი, საქმე მხოლოდ საათებში არ ყოფილა! მთავარია, როგორი ურთიერთობა აქვს მამას შვილთან, ინტერესდება თუ არა მისი ყოველდღიური ცხოვრებით. ბავშვი შესანიშნავად ხვდება, მამამისი საქვეყნო საქმეების გამო ვერ იცლის, თუ საკუთარ სიამოვნებას, ამხანაგებთან დროსტარებას არის გადაყოლილი.

ვერაკითარი ფუფუნება ვერ შეუცვლის ყმაწვილს მამასთან სიახლოვის სიხარულს. შეუძლებელია მამაშვილური ურთიერთობის ფულადი კომპენსაცია.

ყმაწვილი იზრდება და მეგობარ-ამხანაგების შეძენის სურვილი უჩნდება. ვინ უნდა იყვნენ მისი ყველაზე ერთგული მეგობრები? რა თქმა უნდა მშობლები!

როცა მამა შვილს გვერდით უზის და ფერადი კუბებით სახლის აშენებაში ეხმარება, გატეხილი სათამაშოს უნებებს ან საბავშვო ბაღის ამბებს გამოჰკითხავს, მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ამბებს, ბავშვს გული სიამაყით ევსება და საკუთარი თავის რწმენა უმტკიცდება. და თუ მამასა და შვილს სიყმაწვილიდან ერთად ყოფნის მოთხოვნილება გაუჩნდათ, თუ მათ ერომანეთისა ესმით გონებითაც და გულითაც, შემდეგ ამ გულისა და გონების კავშირს ვეღარაფერი დაარღვევს. მაგრამ, როცა მშობელი ამ მომენტს ხელიდან უშვებს, იმიტომ რომ „ვერ მოიცალა“, დაეზარა, მერე გვიან აღმოაჩენს, რომ ისა და მის ჭერქვეშ მცხოვრები ახალგაზრდა კაცი, მისი ვაჟიშვილი სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის და რამდენიც უნდა ეცადოს, შვილთან სიახლოვეს ვეღარ დაამყარებს — მისთვის უკვე დახშულია ზანის სულის ბჭენი.

ოჯახის პრობლემატიკაზე ჩვენში ახლა საკმაოდ ბევრი იწერება, მაგრამ კარგი მამების წარმოსაჩენად და წასახალისებლად— თითქმის არაფერი. არადა, არ შეიძლება სახოგადოების ყურადღებას არ იქცევდეს ის ფაქტი, რომ მშობელთა კრებებს მხოლოდ დედები, ბებიები და პაპები ესწრებიან, სასკოლო მშობელთა კომიტეტებშიც თითქმის მხოლოდ ქალები არიან. ყმაწვილებზე მამაკაცის გავლენის დიდი დეფიციტის ასანაზღაურებლად ახლა სკოლებში შეიქმნა მამათა საბჭოები (მასალებს ამ საბჭოების მუშაობაზე ჩვენი დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე გაეცნობით), რომლებსაც ბევრი სიკეთის ქმნა შეუძლიათ.

ოღონდ უწინარესად შვილებზე საკუთარმა მამებმა უნდა იზრუნონ. დანესებულებების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა კი მკაცრად მოჰკითხონ უღირს მშობლებს, „ფრენია“ მამებს, რომლებიც უგულებელყოფენ თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობას, რომელთა „ხელის შენყობითაც“ ივსება არასრულწლოვან დამნაშავეთა რიგები, და პირიქით, ყოველ მხრივ წაახალისონ, დაადასონ და წარმოაჩინონ კარგი მეოჯახე, კარგი შვილების აღმზრდელი მამები.

ასეთი საქმიანობის კარგ მაგალითს იძლევიან პარტიის ზუგდიდის რაიკომი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სამინისტრო, სადაც თითოეული ბავშვის ბედზე მთელი კოლექტივი ზრუნავს, სადაც მრავალშვილიანი ოჯახის მამებს ყოველმხრივ უწყობენ ხელს და ეხმარებიან.

ქვეყნად პატარა არსება გაჩნდა. და ამ წუთიდან შენ ახალი წოდება მოგენიჭა — მამა გახდი. ეს წოდება ბევრს გავალებს. პირველ ყოველისა კი, პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების წინაშე. ვინაიდან, დაიბადება თუ არა ბავშვი, ის კოლექტივის წევრი ხდება: ჯერ შენი ოჯახის, მერე — ბავშვთა, შემდეგ — საწარმოო კოლექტივის, ესე იგი საზოგადოებისა, და ჩვენთვის სულაც არ არის სულერთი, როგორი იქნება ჩვენი საზოგადოების წევრი.

## ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲗ

**გამოვაცხადოთ** „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა ბროშურა „სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება ყველას ვალია!“. მასში დაბეჭდილია რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მიმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას — გადაჭრით იბრძოლონ მაღალი ორგანიზებულობისათვის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობისათვის, სანმეშო დისციპლინისათვის ყოველ სამუშაო ადგილზე, ყველგან და ყველაფერში; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვა ამ კოლექტივის კრებაზე. ბროშურაში თავმოყრილია თბილისის ავიამშენებელთა კოლექტივის კრების, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის სასოფლო ყრილობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტივის კრების მასალები. ბროშურა, რომელიც მომზადებულია საქინფორმის მასალების მიხედვით, მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში. (საქინფორმი).

## ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲞᲐᲡ�პᲝᲠᲢᲘ ᲗᲘᲗᲗᲝᲛᲔᲣᲚ ᲙᲝᲛᲚᲡ

**საუბარი გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილესთან**

**გ. აბალაკთან**

**სოფელ** ტყვიავის კოლმეურნეობა არა მარტო რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში ერთ-ერთი გამორჩეული, მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობაა. აქ არაერთ საინტერესო თაოსნობას დაედო სათავე. მოწინავეთა შორის არის აგრეთვე ახრისის საკოლმეურნეობათაშორისო მევენახეობის მეურნეობა.

და აი, კვლავ სიახლე: ტყვიაველები და ახრისელები მუშაობის ახალ ფორმაზე გადავიდნენ. ჩვენი აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტთა ინიციატივით ამ ორ საზოგადოებრივ მეურნეობაში შემოღებულია კომლის პასპორტები, — თქვა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ გ. აბალაკმა, — ტყვიავსა და ახრისში გულდადებით დავიანგარიშეთ კომლების კუთვნილი პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა, დავაზუსტეთ თითოეული კოლმეურნისათვის მიჩენილი მიწის ნაკვეთის ზომა.

გარდა ამისა, შევაგროვეთ ცნობები ამა თუ იმ ოჯახის შესახებ — შრომისუნარიანი წევრების ოდენობა, მათი ასაკი, სპეციალობა და კიდევ სხვა მონაცემები. ისიც ვიანგარიშეთ თუ საკარმიდამო ნაკვეთებს რა უკუგების შესაძლებლობანი აქვს. ეს ყველაფერი შევიტანეთ კომლის პასპორტში.

როგორია სიახლის ეფექტი?

— თუ წინათ სოფელ ახრისში მეკომფურთა მხოლოდ ნახევარს ჰყავდა პირუტყვი, დღეს იგი ყველა კომლს ჰყავს. მეცხოველეობისა და სხვა სახის ნამეტი პროდუქცია გაუჩნდა თითქმის ყველა კოლმეურნეს, განსაზღვრულია მისი შესყიდვის დაახლოებითი ნორმებიც. გარდა ამისა, თუ ოჯახი ნორმაზე მეტ ხორცს მიჰყიდის სახელმწიფოს მას ეძლევა პრემია და სარგებლობს სხვა სახის წახალისებითა და შეღავათებით. ასე რომ სიახლის ეფექტი საკმაოდ სოლიდურია.

გფიქრობთ, წლეულსვე ამ პროგრესულ ფორმაზე რაიონის ყველა მეურნეობა გადავიყვანთ.

**გ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

**სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲡ**

## ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ

**ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.** (საკ. კორ.). სამთო საწარმოს რაციონალიზატორებმა შარშან 29 ახალი წინადადება დანერგეს წარმოებაში და წლიურმა პირობითმა ეკონომიამ 245 ათასი მანეთი შეადგინა.

მნიშვნელოვანია მაღაროს მთავარი მექანიკოსის ზ. ჩიჩანიძის მიერ შემუშავებული წინადადება, რითაც უზრუნველყოფილია ძალური ტრანსფორმატორის ზედმეტი სიმძლავრის შემცირება. იგი იძლევა ელექტროენერგიის უდიდეს დანაზოგს, რომელიც ფულადი გამოხატულებით 1.518 მანეთს შეადგენს. საწარმოს სხვა რაციონალიზატორები ჯ. ბარელაძე, ი. ცხელიშვილი, ზ. მოდებაძე სულ შუდამ ახლის ძიებაში არიან და დიდი სარგებლობაც მოაქვთ კოლექტივისათვის.

**Ო. ᲜᲘᲥᲐᲒᲐᲫᲔ.**

## ᲕᲐᲖᲡ—ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ

**თელავი.** („კომუნისტის“ კორ.). ახლა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვენახის დამუშავება — მწკრივთაშორის ხვნა, სასუქების შეტანა, ვაზის ძირების გამობარვა, გასხვლა, მხრის გაგრძელება და სხვა.

წლევანდელი უხვი მოსავლის მისაღებად კარგად ირჯებიან აკურის კოლმეურნეობის მეზვრეები. აქ 887 ჰექტარ ვაზს მთელი დღე თავს დასტრიალებენ და მზრუნველობას არ აკლებენ. მექანიზატორები მხარში უდგანან მეზვრეებს, რომლებმაც ტექნიკის რემონტისათვის დროულად იზრუნეს. ვენახების მწკრივთშორისების დამუშავება, მინერალური და ორგანული სასუქების საჭირო დოზით შეტანა დასასრულს უახლოვდება.

მეზვრეთა მთავარი საზრუნავი ძირითადად მაინც სხვლაა. ამ საქმეს ხარისხოვნად შესრულება ყველას როდი ძალუძს, ამიტომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ბრიგადების მიხედვით შეარჩია დაკვირვებული და გამოცდილი მეზვრეები, რომლებიც რიგიანად, ზუსტად აგროწესებს შესაბამისად სხლავენ ვაზს. ახლა სხვლაზე ყოველდღიურად 80-90-მდე მეგვენახე შრომობს, რომლებიც ღიერ დავალებებს გადაჭრებენ ასრულებენ.

## ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ

**რესპუბლიკაში** კაპიტალური მშენებლობის იანვრის გეგმის შესრულების მაჩვენებლები არც ისე მაღალია. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დავალება შესრულებულია 80 პროცენტით, ათვისებულია 81,7 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდება 81 მილიონი მანეთის ნაცვლად, ანუ დაგეგმილი მოცულობის 76 პროცენტი. ეს წლიური გეგმის მხოლოდ 4 პროცენტია.

კიდევ უფრო ნელია ბინების მშენებელთა მუშაობის ტემპი. საცხოვრებელი სახლების აგებისათვის ათვისებულია 8,2 მილიონი მანეთი, რაც 1,8 მილიონით ნაკლებია 1981 და 1982 წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ჩამორჩება საშენ მასალათა მრეწველობა. მშენებლებს აკლიათ ცემენტი, აგური, ინერტული მასალები, სხვა პროდუქცია, რაც იწვევს დავალებათა შესრულების ჩაფუშვას უაღრესად მნიშვნელოვან ობიექტებზე, განსაკუთრებით ენგურის და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურებში.

შესრულებულ სამუშაოთა ცუდი ხარისხის გამო დღემდე უხდებათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ცალკეულ ობიექტებზე, რომლებიც საექსპლოატაციოდ ჯერ კიდევ შარშან ივლის-აგვისტოში გადაეცა.

ეს და სხვა ციფრები და მაგალითები მოიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელშიც შეაჯამა მშენებელთა მუშაობის იანვრის შედეგები.

თათბირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, სახმშენის, სახელმწიფო საეგმო კომიტეტის, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, დიდი სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების, სამმართველოების, სსრ კავშირის მშენბანკის რესპუბლიკური კანტორის ხელმძღვანელები, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე აღინიშნა, რომ შარშანდელი გეგმა მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სააგლომერაციო ფაბრიკა, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის პირველი რიგი, კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკა, სხვა ობიექტები. მშენებელთა თავდადებულმა გარჯამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. თითქოსდა მიმდინარე წლის დამდეგიდან მშენებლებს უნდა ეზიუნათ მიღწეული შედეგების გამოავლენისათვის, გამოეხახათ შრომის ნაყოფიერების გაზრდის ახალი რეზერვები, უფრო ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ხელს უწყობს შრომითი საქმიანი აქტიურობის გადიდებას. მაგრამ ხუთწლედის მესამე წელი მშენებლებმა დაიწყეს შეფერხებით, რამაც ჩამორჩენა გამოიწვია.

სამუშაოთა მიმდინარეობას ძალიან აბრკოლებს საშენი მასალები, ნედლეულის რესურსებით მშენებარე ობიექტების არარიტმული მომარაგებაც. მაგალითად, იანვარში მშენებლებს დაეკლდათ 3 მილიონ 300 ათასი ცალი აგური. აგურის ქარხნების სიმძლავრეები მხოლოდ 63 პროცენტით გამოიყენება. რუსთავის ცემენტის ქარხანა ზედიზედ რამდენიმე თვეა ვერ ასრულებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურისათვის სპეციალური ჰიდროიზოლაციის გამოშვების გეგმას. მარტო იანვარში და თებერვლის პირველ დღეებში რესპუბლიკას დაეკლდა ასობით ტონა ცემენტი.

მდგომარეობა გართულდა ინერტული მასალების, განსაკუთრებით საშენი ქვიშის მიწოდებასთან დაკავშირებითაც. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შეშავალმა ტრესტებმა პირველი კვარტალისათვის გამოყოფილი ქვიშის საერთო რაოდენობის მხოლოდ 13 პროცენტი მიიღეს.

თათბირზე მკაცრად გაკრიტიკეს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მუშაობა. აღინიშნა, რომ თუმცა შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, რომლებიც უეჭველია, თავის როლს შეასრულებენ სასურსათო პროგრამის შესრულებაში, მაგრამ სამინისტროს სფერონაში ბევრი ნაკლი შეიმჩნევა. მაგალითად, ვერ სრულდება საცხოვრებელი სახლების, სკოლების და ბავშვთა ბაღების გეგმები. დაბალია მუშაობის ხარისხი.

შეფერხებები გამოწვეულია იმით, რომ დროულად არ უზრუნველყოფენ ასამოქმედებელ ობიექტებს მოწყობილობით, მოუმზადებელია სამშენებლო მოედნები.

სამეცნიერო და სამედიცინო დაწესებულებების, სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სბავშვო ბაღების აგების მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ხელმძღვანელები ძალზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ეს ობიექტები ნელა, უხარისხოდ შენდება. ჯეროვანი კონტროლი არ ეწევა მათი მშენებლობის მიმდინარეობას, არავინ არ სთხოვს პასუხს მთელი სამკაცრით იმათ, ვისაც ჩამორჩენაში მიუძღვის ბრალი.

თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მშენებელთა ავტორიტეტს. თითოეულ მათგანს თავის პატრიოტულ მოვალეობად უნდა მიაჩნდეს პატიოსანი, თავდადებული შრომა ხალხის საკეთილდღეოდ. უნდა ვაშენოთ არა მარტო სწრაფად და იაფად, არამედ მკვიდრად და მაღალხარისხოვნადაც. ამავე დროს ზნირად სახლებს საეპსპლოატაციოდ გადასცემენ დიდი ხარვეზებით და მერე ახალმოსახლენი იძულებული არიან ბევრი სახსრები და დრო მოახმარონ მათ აღმოფხვრას.

თათბირზე აღინიშნა, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი მშენებელთა საქმიანობისადმი, განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, გაზარდონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა დავალებების, სოციალისტური ვალდებულებების უფრო შესრულებისათვის. თათბირზე დასახეს მშენებელთა მუშაობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ღონისძიებანი. აღინიშნა, რომ უნდა მივაღწიოთ მშენებლების, მემონტაჟეების, შეკვეთებისა და დამპროექტებლების ერთსულოვან, შეთანხმებულ მოქმედებას. ამისათვის უნდა სრულვყოთ წარმოების დაგეგმვისა და მართვის მეთოდები, გამოვავლინოთ მთელი რეზერვები და ჩავაყენოთ ისინი ხუთწლედის სამსახურში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა. (საქინფორმი).

## ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲛᲠᲗᲛᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

**ᲒᲝᲚᲝ** ხუთ წელიწადში ჩვენი ქვეყნის ოც მილიონზე მეტ მშრომელს გაუუჯობესდა შრომის პირობები. რეკონსტრუირებულია 30 ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო, აშენდა ახალი საყოფაცხოვრებო სადგომები, გაფართოვდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი.

ეს მონაცემები მოიყვანეს თბილისში გამართულ სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელიც საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყვეს. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს შრომის უსაფრთხოების მეტროლოგიური უზრუნველყოფის შემდგომი განვითარების გზები.

თათბირზე დასახული იქნა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საწარმოო გარემოს პარამეტრების კონტროლისათვის საჭირო გაზომვის საშუალებებზე საწარმოთა მოთხოვნილების უზრუნველყოფა.

## ᲛᲘᲬᲘᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1440“

**1983 ᲬᲚᲘᲡ** 10 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1440“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

მიღებულ ინფორმაციას გადასცემენ სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითს და საწარმოო ცენტრს „ბუნებას“ დასამუშავებლად და გამოსაყენებლად. (საკდესი).

## ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲐ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ** დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაძლიერებისათვის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები განიხილეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 11 თებერვალს გაიმართა მოსკოვში.

თავის მოხსენებაში სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მ. მიშინმა და გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მხურვალედ მოიწონეს ქვეყნის კომკავშირელებმა, მთელმა ახალგაზრდობამ.

ქალაშვილები და ჰაბუკები აქტიურად მონაწილეობენ 1983 წლის დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოძრაობაში „მეთერთმეტე ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვიდრებისა პრობლემები. აღინიშნეს, რომ კიდევ უფრო უკეთ უნდა წარმართოთს ახალგაზრდობის პროფესიული სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის, სწავლებისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ამ საქმეში კომკავშირის კომიტეტებმა უფრო ეფექტიანად უნდა ითანამშრომლონ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან.

პლენუმზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხების მთელ კომპლექსს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ამ საქმეში უკეთ გამოვიყენოთ პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვანი ტრადიციები. კომკავშირის საქმიანობის პასუხსაგები უბანია პროფტექნიკური სასწავლებლებისადმი მეფობა. საჭიროა შემდგომშიც განვავითაროთ დამრიგებლობა, რომელიც ახალგაზრდა მშრომელების ჩამოყალიბების ნაკად სკოლად იქცა.

დიდი ყურადღება დაეთმო კომკავშირული მუშაობის სტილის სრულყოფას. ილაპარაკეს გეგრილიანობის ამაღლების, ქმედითი კონტ

# უკრაინული

ფაქტები
მოვლენები
საკლასო
იუწყება

## ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

# ᲕᲘᲜ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲡ

**ᲫᲕᲔᲚᲔᲕᲐ. განიარაღების კომიტეტი იხილავს აქტუალურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღების პრობლემებთან.** სოციალისტური სახელმწიფოები მზად არიან ითანამშრომლონ ყველასთან, ვინც გულწრფელად დაინტერესებული არიან თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. ჰერდერმა კომიტეტში გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა აიკრძალოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და განლაგება. იმ დროს, როცა სოციალისტური სახელმწიფოები მხარს უჭერენ კონსტრუქციულ პოზიციებს განიარაღების საკითხებში, ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები ახორციელებენ შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების ზრდის მრავალმილიარდიან პროგრამას, თქვა ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა კ. ტელაოვმა. ეს მკვეთრად აუარესებს მსოფლიოში ვითარებას და ძირს უთხრის საერთაშორისო უშიშროებას.

ტადეფე ტერეფამ (ეთიოპია), აღნიშნა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებსაც პრაღის დეკლარაცია შეიცავს, პოზიტიური და შეწონასწორებული საფუძველია ურთიერთმისაღები შეთანხმებებისათვის. გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მორიგების უსწრაფეს მიღწევას დაუჭირეს მხარი თავიანთ გამოსვლებში ხ. კარასალესმა (არგენტინა), პ. კანოკმა (პერუ) და გ. ო. ოჯეგერემ (ნიგერია). მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბირთვული ომის თავიდან აცილება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანაა.

ამ ფონზე აშკარა დისონანსად გაჟღერა დასავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოების, კერძოდ, იაპონიისა და იტალიის წარმომადგენელთა გამოსვლები. ისინი არ შეიცავდნენ არაფერს ახალსა და კონსტრუქციულს, მხოლოდ იმეორებდნენ მონაჩმახებს „საბჭოთა საფრთხის“ და სსრ კავშირის „სამხედრო უპირატესობის“ შესახებ — გაცვეთილ დასკვნებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, ნატოს იმისათვის სჭირდება, რომ გააშრთოლოს სამხედრო მზადების ზრდა.

ამერიკის დელეგაციამ შეერთებული შტატების პოზიცია ჩამოაყალიბა ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხზე, მაგრამ, ამასთან, მთლიანად გვერდი აუარა საკითხს, რომ საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება ახალ სახეობათა ქიმიური იარაღის, უწინარეს ყოვლისა ბინარული საბრძოლო მასალების აკრძალვის შიზნით, რომლებიც ახლა მუშავდება.

## ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲐ

**ᲐᲮᲚᲝ** აღმოსავლეთიდან მიღებული ცნობებით, ისრაელი აგრესორები ამწვავებენ დაძაბულობას ბეკაას ველზე, სადაც განლაგებულია ლიბანში მშვიდობის დამცველი არაბული ძალების შემადგენლობაში მყოფი სირიის ჯარების კონტინგენტი. მაგალითად, ბარუქის მთის რაიონში გადაიყვანეს მძიმე ტანკების ქვეგანაყოფი, ამავე დროს ოკუპანტები აძლიერებენ თავიანთი ჯარების პოზიციებს, ქმნიან დამატებითს საცეცხლე წერტილს, ბლინდაჟებსა და სხვა. მსოფლიოს თვალწინ ისრაელი, რომლის ზურგს უკან შეერთებული შტატები დგას, სირიის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება.

ეს და სხვა ფაქტები მოწმობს, რომ ლიბანეს ტრაგედია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ისრაელი ინტერვენტები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა იგი თავის სატელიტად აქციონ, ისრაელის ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის“ შექმნის საბაბით ცდილობენ კონტროლი დაუწესონ ლიბანის ვრცელ ტერიტორიას. ვაშინგტონი კი თავის მხრივ ამერიკის ჯარების რიცხვი. მიზანი აშკარა და ნათელია: მათი ყოფნა ეგრეთ წოდებული „მრავალეროვანი ძალების“ შემადგენლობაში გამოიყენოს ლიბანში ამერიკის მუდმივი სამხედრო პლაცდარმის შესაქმნელად.

ტელ-ავივისა და ვაშინგტონის ამ განზრახვას მოწმობს მათი პოზიცია ლიბან-ისრაელის მოლაპარაკებაზე. ლიბანის მხარეს, მაგალითად, მიაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა განიხილონ ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანის პრობლემა, პირობის დაუთქმელად და მთლიანად უნდა განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ისრაელის დულეგაცია კი, თეორი სახლის მხარდაჭერით, მოითხოვს „ურთიერთობის ნორმალიზაციას“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა აგრესორის მისწრაფება აიძულოს ლიბანი ხელი მოაწეროს კემპ-დევიდის ყაიდის „სამშვიდობო ზავს“, რომელიც ხელყოფს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აგრესორის მიერ ლიბანის მიტაცებული ადგილების დაბრუნებისაკენ მიუთითებს ბრალი იმაში, რაც ლიბანში ხდება. „ჩვენ — ნათქვამია განცხადებაში, — მოვითხოვთ პრემიერ-მინისტრ ბეგინის, თავდაცვის მინისტრ შარონის, საგარეო საქმეთა მინისტრ შამირის, გენერალური შტაბის უფროსის ეიტანისა და სხვა დამნაშავეთა სასამართლო პასუხისგებაში მიცემას“.

სამართლიანია არაბ პატრიოტთა ბრძოლა, რომლებიც თავიანთ კანონიერ უფლებებს და ინტერესებს იცავენ. ამიტომ მათ მხარეზე არიან საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები, მსოფლიოს პროგრესული ძალები. საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ იცავს არაბთა სამართლიან საქმეს, ყველა

## ᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

წა-წყალზე მასობრივი რეპრესიების, ტერორისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ყლეტის კურსი გულისწყრომასა და პროტესტს იწვევს არა მარტო ისრაელში, არამედ მთელ მსოფლიოში. მათი ჩაცხრომის მიზნით ბეგინის მთავრობა იძულებული გახდა რამე ეღონა და ბოლოს „განტვირთვის ვაციც“ გამონახეს— თავდაცვის მინისტრი შარონი, რომელიც იძულებული გახდა გადამდგარიყო. მაგრამ როგორც უნდა შენიღბონ სისხლიანი კვალი, ყველასათვის ცხადია, რომ ლიბანში ჩადენილი საზიზღარი დანაშაულობებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ტელ-ავივის მმართველ სიონისტურ ხროვას.

ამას წინათ გამოქვეყნებულ ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში ნათქვამია, რომ არა მარტო კაბინეტის წევრებს, არამედ თვით პრემიერ-მინისტრ-ღონეს მიმართავს ისრაელის აგრესიის შეწყვეტისა და ლიბანის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გასაყვანად, პალესტინელების, ლიბანელი პატრიოტების, აგრეთვე სირიის ყოველნაირი მხარდაჭერისათვის.

## Ჯ. ᲨᲣᲚᲪᲘᲡ ᲕᲝᲘᲐᲟᲘ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ** მილიტარისტული საგარეო-პოლიტიკური კურსის ესკალაციის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის მოგზაურობა აზიის ქვეყნებში, რომელიც მიზნად ისახავდა ვაშინგტონ-ტოკიოსეულის სამხედრო ალიანსის განტკიცებას.

რაპონიის დედაქალაქში მოლაპარაკებისას სახელმწიფო მდივანმა პარტნიორებს მოუწოდა დაჩქარონ სამხედრო მშენებლობის პროგრამის შესრულება, კიდევ უფრო სრულყონ და დააკონკრეტონ შეერთებული შტატების სხვა მოკავშირეებთან მილიტარისტული ღონისძიებების კოორდინაცია.

თეთრი სახლის მილიტარისტული გეგმების, იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან ერთიანი სამკუთხედის შექმნის იდეის განხორციელების დაჩქარების ხელი შეუწყო იაპონიის ხელისუფლების სათავეში პრემიერ-მინისტრ ი. ნაკასონეს მოსვლამ, რომელმაც ცხადყო, რომ მზად არის თავის წინამორბედზე უფრო აქტიურად აუბას მხარი რეიგანის ადმინისტრაციას და ქვეყანა ვაშინგტონის ავანტიურისტული ზრახვების თანამონაწილედ აქციოს. როგორც ცნობილია, ამას წინათ იაპონიამ მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე საფინანსო წელს საგრძნობლად გაზარდოს სამხედრო ხარჯები და პენტაგონს გადასცეს სამხედრო ტექნოლოგია.

სეულში ჯ. შულცმა გულუხვობა გამოიჩინა — სამხრეთკორეელ მმართველს სამხედრო ობიექტის მიწოდების გაზრდას შეპირდა და იქ გამართული მოლაპარაკებაც სასურველ კალაპოტში მოაქცია — როგორც პრესა აღნიშნავს, უმთავრესად განიხილეს „ამერიკა-იაპონია-სამხრეთ კორეის უშიშროების სისტემის“ საკითხები.

სამხრეთ კორეისადმი ინტერესი ადვილად აიხსნება. ვაშინგტონს სურს სეულს ფორპოსტის როლი დააკისროს აზიაში, რისთვისაც აწვდის მას თანამედროვე იარაღს, მათ შორის რაკეტებს. არც იაპონია აკლებს „მზრუნველობას“ ჩონ დუ ხვანის დიქტატურას, რომელსაც 4 მილიარდი დოლარი „დახმარება“ მისცა.

რეიგანის ემისარმა ჰონკონგში ვიზიტი იმისათვის გამოიყენა, რომ უხეშად დასხმოდა თავს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას და, როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, მოითხოვდა ვიეტნამის „პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოლაპარაკების დროს ჯ. შულცი, კერძოდ, ცდილობდა გაემართლებინა რეიგანის ადმინისტრაციის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ტაივანის სამხედრო პოტენციალის გაზრდას.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აზიაში მოგზაურობის დროს, აღნიშნავს ჟურნალი „ნიუსუიკი“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ამ რეგიონში საზოგადოებრივობა „ღრმა შეშფოთებას“ გამოთქვამს გამალებული შეიარაღების გაგრძელების გამო. მიუხედავად ამისა, ჯ. შულცი, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში დასავლეთ ევროპაში, რეკლამას უწევდა ადმინისტრაციის გამალებული შეიარაღების დაჩქარებისა და ამ დარგში მოლაპარაკების საბოტაჟის კურსს. პრესის ცნობით, შულცი იცავდა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ ეგრეთ წოდებულ „ნულოვან ვარიანტს“ — ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების მიღწევის აშკარად მცდარ ფორმულას.

**საკდესის მასალების მიხედვით.**

## ᲐᲛᲨ: „ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ“ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲜᲘ

*ᲞᲠᲔᲡᲐ ᲙᲚᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘ*

# ᲝᲛᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. „ღარიბთა წინააღმდეგ დაუნდობელი ომი უკვე მესამე წელია გრძელდება“, — ასე ახასიათებს რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკურ პოლიტიკას გაზეთი „ფილადელფია ინკუაირერი“.**

უმუშევრობის კატასტროფული დონე, ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი და სხვა პრობლემები, რომლებსაც აწყდება ახლა ქვეყანა, კვლავ მწვავდება, ხახს უსვამს გაზეთი. მაგრამ ადმინისტრაცია მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ გაზარდოს ხარჯები შეიარაღებისათვის. ბიუჯეტის სწორედ ამ მუხლებს აპყრობს მთავარ ყურადღებას პრეზიდენტი რეიგანი. 1984 საფინანსო წელს იგი აპირებს პენტაგონს ასიგნებანი კიდევ 30 პროცენტით გაუდიდოს, ხოლო მომდევნო 4 წელიწადში ამ მიზნებს მოახმაროს 1,7 ტრილიონ დოლარზე მეტი. ისევე როგორც წინათ, სამხედრო ასიგნებათა გადიდების მსხვერპლი უბრალო ამერიკელები იქნებიან.

ახალ საფინანსო წელს რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს კიდევ 9 პროცენტით შეამციროს ქვეყნის მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის დახმარების უკვე ისედაც შეკვეცილი პროგრამა, 12 პროცენტით — უმუშევარი ახალგაზრდობისადმი დახმარების პროგრამა. რეიგანი, რომელიც გამალებული შეიარაღების განგრძობისათვის სულ ახალ-ახალ სახსრებს აკლებს ღარიბებისადმი დახმარების პროგრამებს, არც მოხუცებს, არც ბავშვებს არ ინდობს. მარტო ორ შტატში — პენსილვანიისა და ნიუ-ჯერსის შტატებში სოციალური პროგრამების შეკვეცის შედეგად არსებობის სახსრები დაკარგა დაახლოებით 25 ათასმა ამერიკელმა. სამედიცინო მომსახურება — 700 ათასზე მეტმა ბავშვმა. შემთხვევითი არ არის, წერს ამასთან დაკავშირებით „ფილადელფია ინკუაირერი“, რომ ამ პოლიტიკის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა ბავშვების სიკვდილიანობა. სიღარიბე და სიღატაკე იძენს ეპიდემიის ხასიათს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის სულ ახალ-ახალ ფენებს მოიცავს. ამ ფასად ოჯახებათა ამერიკელებს ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკა.

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

*ᲙᲐᲠᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ*

# ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თეთრი სახლის ჩაფუშული ეკონომიკური პოლიტიკის მხსვერპლთა რიცხვში სულ უფრო ხშირად ხვდებიან ეგრეთ წოდებული „საშუალო კლასის“ წარმომადგენლები, რომლებიც ერთ დროს ამერიკის „თანაბარ შესაძლებლობათა“ საზოგადოების საფუძვლად ითვლებოდნენ.** ამერიკის წვრილი ბიზნესის ბედისათვის „რეიგანომიკის“ შედეგების გ






## ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დედაქალაქის ცენტრში დადგეს ოთხი ვეებერთელა მუყაოს ყუთი. მათზე წარწერილია იმათი სახელები, ვინც დეკემბრის სუხსს ვერ გაუძლო და დაიღუპა. ამ უჩვეულო მანიფესტაციის ორგანიზატორებმა ახეთი გზით გადაწყვეტეს გამოეთქვათ პროტესტი ვაშინგტონის უდარბაზეი ფენების ნავალალო მდგომარეობის გამო და ეიძულებინათ „ჭალაქის მამები“ სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელონ დედაქალაქის „ფსკერის“ ბინადართა დასახმარებლად.**

**ამჟამად ვაშინგტონში, ოფიციალური მონაცემებით, 12 ათასამდე უსახლკაროა. მუნიციპალური ღამის გასათევი სახლი კი მხოლოდ 700 კაცს იტევს. დანარჩენების ხვედრია ქუჩა, ეხი იგი, იმის მუდმივი შიში, რომ სიცივით გაითოშონ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მუყაოს ერთ-ერთი „სახლი“, სადაც ზამთარს ატარებს ორგანიზაციის აქტივისტი.**

**ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

*ᲐᲤᲠᲘᲙᲐ*

# ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ავიაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

აზიზიანი კარლენ რობინზონის ძე — თბილისის ავიასაწარმოს კავშირგაბმულობის კვანძის უფროსი, გოცირიძე ვასილ გიორგის ძე — თბილისის აეროპორტის უფროსის მოადგილე, ვერლანინი ანატოლი ვასილის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ბათუმის აეროპორტის ავიაციის ტექნიკოსი, კვარაცხელია რევაზ მიხეილის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ავიაციის ტექნიკოსი, კვაჩი ვლადიმერ ალექსის ძე — ქუთაისის ავიასაწარმოს რგოლის მეთაური, კვიციანაძე გიორგი ზაქარიას ძე — თბილისის ავიასაწარმოს მოძრაობის სამსახურის ფრენის ხელმძღვანელი, ლომიძე ელეფუჯა ზაქარიას ძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, ოსიტაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე — თბილისის ავიასაწარმოს სპეცავტოტრანსპორტის მძღოლი, საპოკოკოვი ვასილ ვასილის ძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ტრენაჟორის ინსტრუქტორი, სტუპინი ბორის ალექსანდრეს ძე — თბილისის ავიასაწარმოს საავიაციო-ტექნიკური ბაზის საამქროს უფროსი, ტაბუევი გერას გიორგის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის „ტუ-134“ ხომალდის მეთაური, ტყეშელაშვილი ტარას ვლადიმერის ძე — ქუთაისის ავიასაწარმოს სპეცავტოტრანსპორტის მძღოლი, შმალი ივანე ალექსის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ქალაქის საagენტოს საკომერციო კავშირის ინჟინერი, ძიძიგური გივი პეტრეს ძე — თბილისის ავიასაწარმოს უფროსი ბორტინჟინერი.

# ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲗᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲛᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ავიაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდებანი:**

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“:** მაზლუმიანს ნელი ერვანდის ასულს — თბილისის ავიასაწარმოს სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის ლაბორატორიის გამგეს — ექიმს, მიხეევას ევგენია ალექსანდრეს ასულს — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ქალაქის საagენტოს საკომერციო კავშირის ინჟინერს, ბოლოკინ ალექსანდრეს ასულს — სამმართველოს მთავარი ინჟინერს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“:** გრიდნევს ალექსანდრე ივანეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს, შევჩენკოს ლიდია ივანეს ასულს — თბილისის ავიასაწარმოს შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილების უფროს ინჟინერ-ეკონომისტს.

**„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“:** აღდგომელაშვილს გიორგი იოსების ძეს — თბილისის ავიასაწარმოს მძღოლს, ბაზაძეს ბონდო ირაკლის ძეს — ქუთაისის ავიასაწარმოს შტაბის უფროსს, ბორისოვს მიხეილ ივანეს ძეს — სამმართველოს საწარმო-სადისპეტჩერო სამსახურის უფროს დისპეტჩერს — დაგეგმვის ჯგუფის უფროსს, გველესიანს გივი დიომიდეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს შტურმანს, გობეჯიშვილს მათიკო ერმილეს ასულს— სასაერო მიმოსვლის ცენტრალური სააგენტოს ადგილების რეზერვირების ჯგუფის დისპეტჩერს, გუმბარიძეს გიორგი მელიტონის ძეს — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ფოთის აეროპორტის უფროსს, გურეშიძეს იაკობ ბაგრატის ძეს — ქუთაისის ავიასაწარმოს მღებავს, დედანაშვილს შოთა ალექსანდრეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს საწარმოო-სადისპეტჩერო სამსახურის უფროსს, კრუპიცკის მიხეილ ფილიპეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს მოძრაობის სამსახურის უფროს დისპეტჩერს, მორგუნოვს ვასილ ვასილის ძეს — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ავიაციის ტექნიკოსს, რაქვიაშვილს ალექსანდრე ივანეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს აეროდრომის სამსახურის ოსტატს, სალუქვაძეს ამირან მიხეილის ძეს — სოხუმის გაერთიანებულ ავიარაზმის ქალაქის საagენტოს უფროსს, ქარსელაძეს რობერტ ვასილის ძეს— თბილისის ავიასაწარმოს ავიაციის ტექნიკოსს, ქვაჩაკიძეს ნიკოლოზ გრიგოლის ძეს — ქუთაისის ავიასაწარმოს მძღოლს, ჩაჩავას კარლო ქრისტეფორეს ძეს — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ბათუმის აეროპორტის უფროსს, ჩაჩავას ემზარ ქრისტეფორეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს ქვეგანაყოფის მეთაურს, შარბათიანს ზაურ ტელემაქის ძეს — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საფრენსნონ-საშტურმანო განყოფილების უფროსს მოადგილეს, ჯანხოთელს გიორგი ინდოკოს ძეს — ქუთაისის ავიასაწარმოს ჩიხარეშის აეროპორტის ავიაციის ტექნიკოსს, ჯვარშეიშვილს შოთა ნოეს ძეს — თბილისის ავიასაწარმოს პილოტ-ინსტრუქტორს.

*ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ*

# ᲜᲣ ᲒᲐᲖᲠᲐᲖᲓᲔᲑᲘᲗ!

**ᲐᲠᲐᲒᲘᲜᲣᲚᲝᲑᲐ და არაკეთილმოსურნეობა ადამიანები ასედმი არანაკლებ ზიანს აყენებს ჩვენს გულს, ვიდრე თამბაქოს წევა ან მაღალი არტერიული წნევა, ამტკიცებს ამერიკელი მეცნიერი რედფორდ უილიამსი. მრავალი წლის განმავლობაში უილიამსი და მისი კოლეგები ამ პრობლემას იკვლევდნენ დუკის უნივერსიტეტში (ჩრდილოეთ კაროლინა). მან ცხადყო, რომ ბრაზიანი და თავდაჯერებული ადამიანები გულსისხლძარღვთა დაავადებებით ხუთჯერ უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე ამ თვისებებს მოკლებულნი.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲐᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ, ᲘᲓᲔᲝᲠ-ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲚᲖᲠᲓᲐᲨᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

# მ ა მ ა

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

# როგორ სწავლობს ჩვენი თანამშრომლის შვილი?

**რა უჭირს და რა ულხინს, როგორი ინტერესებით ცხოვრობს, როგორი მოქალაქე იზრდება? —**

**ᲙᲘ ᲠᲐᲖᲔ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲥᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐ**

**ᲝᲚᲝᲜᲓ**, აქვე დავაზუსტოთ: ეს წერილი-ინფორმაცია განათლების სამინისტროს სისტემის მუშაკთა კრების ანგარიში არ გახლავთ. უწყება, რომელმაც თავისი აქტივის კრებაზე ეს საკითხები განიხილა, ერთი შეხედვით ძალიან შორს არის სწავლა-აღზრდის საქმისაგან: საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს უმთავრესი დანიშნულება ის გახლავთ, რომ შეუფერხებლად მოგვაწოდოს პური ჩვენი არსებობისა. და, უნდა ითქვას, რომ ამ თავის მოვალეობას სამინისტრო წარმატებით ასრულებს კიდეც, რის გამოც ხშირად ჯილდოვდება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს საკავშირო გარდამავალი დროშით.

მაგრამ აქტივის კრებაზე ამ წარმატებებზე და საერთოდ, სამეურნეო საქმეებზე უფრო სასხვათაშორისო ლაპარაკი იყო... ერთ-ერთმა ორატორმა, თბილისის პურპროდუქტების კომბინატის პარტბიუროს მდივანმა რ. ქველაძემ, თავისი საკმაოდ მოზრდილი გამოსვლა რომ დაამთავრა, უეცრად თქვა: კინაღამ დამავიწყდა მთავარიო, და კრებს მოახსენა, რომ გეგმის ყველა მაჩვენებელი გადაჭარბებით შეასრულეთ და დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოვუშვითო.

ამ ეპიზოდმა ღიმილი მოჰგვარა აუდიტორიასაც და პრეზიდიუმსაც. ყველა-ყველა და, დარბაზში მყოფებმა კი კარგად იცოდნენ, კოლექტივის რაოდენ დიდი ჯაფა და ძალისხმევა აისახებოდა ამ სხვათა შორის მოყვანილ ფაქტებში.

ამ კრებაზე დამსწრეს ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი ელოდებოდა. დავიწყოთ პრეზიდიუმით. იქ, მაღალი რანგის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების გვერდით იჯდა მახარაძის პურპროდუქტების კომბინატის მუშა ომინარ გიორგაძე. ცხადია, ამ ფაქტს სიურპრიზს ვერ დარქმევს კაცი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ძლევამოსილ გამარჯვებული მოწინავე მუშა რომ პრეზიდიუმში იჯდეს, აქ მოულოდნელი არაფერია. მოულოდნელი და წარმოუდგენელი ის იქნებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო! მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდიუმში ომინარი საწარმოო მაჩვენებლების გამო კი არ აუყვანიათ, არამედ იმიტომ, რომ ცხრა შვილის მამაა და ამათგან, როგორც მერე ითქვა, სამი წარჩინებული მოსწავლეა.

აქტივის კრებას არ ესწრებოდა, მაგრამ ქებით მოიხსენიეს ფოთის წყალქვარცხნის მოწინავე მუშა სულეიმან ქავჟარაძეც, რომელსაც ოთხი ფრიადოსანი შვილი ჰყოლია და კიდევ მრავალი ეხვა.

ოთხ საათზე ცოტა მეტ ხანს გასტანა აქტივის კრებამ და საინტერესო და გასახარელი ბევრი ითქვა. ყველა დამსწრის აზრი გამოხატა პარტიის თბილისის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ზურაბ ლომაძემ, როცა აღნიშნა: აქედან, ალბათ, ყველას ერთი გრძნობა გაგვყვება — დიდი სულიერი კმაყოფილებაო.

ასეთი გრძნობა გიჩნდება ადამიანს, როცა შენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეო დიდ საქმესთან წილნაყარი ხდები. სწორედ ამგვარი საქმეებს გამო აბარებდნენ იმ დღეს ანგარიშს თავიანთ აქტივს საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შ. ჭანყუვაძე, მისი მოადგილე გ. ჯუსუევი, ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორი თ. მაგულიძე, მახარაძის კომბინატის მთავარი ინჟინერი ზ. დოლიძე, ფოთის წყალქვარცხნის პარტბიუროს მდივანი ე. ტყებუჩავა, კაჯრეთის კომბინატის დირექტორი რ. კრაწაშვილი და სხვები.

მაგრამ ვიდრე ამ გამოსვლებზე ვიტყოდეთ რამეს, მოკლედ გიამბობთ, რა უძღოდა წინ აქტივის კრებას.

როგორც ყველა ვხედავთ, ამ ბოლო ხანს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში სულ უფრო ფართოდ ებმება მთელი საზოგადოება. პრესაში და რადიო-ტელევიზიაში გაჩენილი ახალი რუბრიკები და დეკადები: ყურადღება — ყმაწვილი! ოჯახი, სკოლა, საზოგადოება; მოზარდი თაობის აღზრდის კერებს — საშეფო ორგანიზაციების ზრუნვა! ბავშვებისათვის ყველანი ვაგებთ პასუხს! და სხვა მრავალი იმას მოწმობს, რომ აღზრდის პრობლემამ დააბიჯა ოჯახის, სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების ზღურბლს და საყოველთაო საზრუნავად იქცა.

ამისი ტონის მიმცემი და მაორგანიზებელი, რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გახლავთ, რომლის მრავალმხრივ სასარგებლო და ქმედითმა ღონისძიებებმა ბევრ სასიკეთო საქმეს მისცა დასაბამი. მკაფიო ორიენტირები დაუსახა ჩვენი სწავლა-აღზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაშლასა და გაუმჯობესებას ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებებმაც. ამის მაგალითად შარშან მიღებული ორი დოკუმენტიც კმარა, ერთი — ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლისა და მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების, ხოლო მეორე — კოლექტივებში აღზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

ეს სადირექტივო მითითებები ყველა შრომითს კოლექტივში განიხილეს და სათანადო ღონისძიებებიც, ალბათ, ყველგან ზორეელდება, მაგრამ, ცხადია, ერთნაირი ეფექტიანობით არა. და აი რატომ: ბევრ უწყება-ორგანიზაციაში, თუ თანამშრომლის არასრულწლოვანმა შვილმა დანაშაული ჩაიდინა, და იბარებენ პარტკომის ან ადგილკომის სხდომაზე მის მშობელს და ტყავს გაძრობენ — როგორ თუ გვარცხვენ! ამაზე გულს დაიარწყინებენ, თავიანთი ვალი გასტუმრებული ჰგონიათ, მაგრამ ერთია დასაჯა ცვლაში მომუშავე დედა თუ მამა და მეორე — კოლექტივის მძლავრი, ღონიერი ხელი შეაშველო, გული გუკეთო და დაეხმარო ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავისი მშობლიური მოვალეობის აღსრულებაში. აი, ასე იქცევიან საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროში. თუმცა, ეს უფრო სიტყვამ მოიტანა, თორემ ამ უწყების თანამშრომელთა შვილებს ამის მსგავსიც არაფერი ემუქრებათ...

ამ სამინისტროში საშეფო მუშაობას ვალის მოსახდელად არ ეწევიან. არც სკოლისათვის მატერიალური დახმარება მიაჩნიათ თავის უმთავრეს საზრუნავად. აქ ასე თვლიან: მთავარია ჩვენი დამოკიდებულება საშეფო ორგანიზაციასთან, საქმიანი კავშირი, თანადგომა, საერთო საზრუნავი.

თბილისის კალინინის რაიონის ყველა სკოლამდელი დაწესებულება შეხატრის № 14 ბაგა-ბაღს, ასეთი კარგი შეფი რომ ჰყავს. შენობის რემონტი, სათამაშოების, მუსიკალური ინსტრუმენტების თუ ფერადი ტელევიზორის შეძენა — ეს ყველაფერი შეფების საზრუნავია. შარშან მათ ბაგა-ბაღს საჩუქრად ავტომანქანა „მოსკვიჩი“ გადასცეს. თვალი უკეთესს ვერ ნახავს, ისეთი ლამაზი ეზო მოეწყვეს პატარა საკუთარ ალაგებულს ავტოსადგომ-ავტოფარეხ-ავტოსადგომ აუზით. დამზადების მინისტრი თავად ხშირი სტუმარია ამ ბაგა-ბაღისა, მისი ნახვა აქ შეიძლება 1 ივნისს, 1 სექტემბერს, ახალი წლის წინ და სხვა, სადაც დღეებშიც. საშეფო მუშაობის ჩინებულად წარმართვისათვის საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შოთა ჭანუყვაძე „განათლების წარჩინებული მუშაკის“ სამკერდე ნიშნითაა დაჯილდოებული.

ნამდვილად ყოველგვარ ჯილდოს იმსახურებს ის მინისტრი, რომელმაც ზეპირად იცის, სად და როგორ სწავლობს მისი თანამშრომლების 81 შვილი, რომლის ხელისშეწყობითაც ასეთ სასიკეთო საქმიანობას ეწევა ადგილკომის დედათა და ბავშვთა შორის დადგენილებებმაც. ამის მაგალითად შარშან მიღებული ორი დოკუმენტიც კმარა, ერთი — ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლისა და მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების, ხოლო მეორე — კოლექტივებში აღზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

ეს სადირექტივო მითითებები ყველა შრომითს კოლექტივში განიხილეს და სათანადო ღონისძიებებიც, ალბათ, ყველგან ზორეელდება, მაგრამ, ცხადია, ერთნაირი ეფექტიანობით არა. და აი რატომ: ბევრ უწყება-ორგანიზაციაში, თუ თანამშრომლის არასრულწლოვანმა შვილმა დანაშაული ჩაიდინა, და იბარებენ პარტკომის ან ადგილკომის სხდომაზე მის მშობელს და ტყავს გაძრობენ — როგორ თუ გვარცხვენ! ამაზე გულს დაიარწყინებენ, თავიანთი ვალი გასტუმრებული ჰგონიათ, მაგრამ ერთია დასაჯა ცვლაში მომუშავე დედა თუ მამა და მეორე — კოლექტივის მძლავრი, ღონიერი ხელი შეაშველო, გული გუკეთო და დაეხმარო ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავისი მშობლიური მოვალეობის აღსრულებაში. აი, ასე იქცევიან საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროში. თუმცა, ეს უფრო სიტყვამ მოიტანა, თორემ ამ უწყების თანამშრომელთა შვილებს ამის მსგავსიც არაფერი ემუქრებათ...

ამ სამინისტროში საშეფო მუშაობას ვალის მოსახდელად არ ეწევიან. არც სკოლისათვის მატერიალური დახმარება მიაჩნიათ თავის უმთავრეს საზრუნავად. აქ ასე თვლიან: მთავარია ჩვენი დამოკიდებულება საშეფო ორგანიზაციასთან, საქმიანი კავშირი, თანადგომა, საერთო საზრუნავი.

თბილისის კალინინის რაიონის ყველა სკოლამდელი დაწესებულება შეხატრის № 14 ბაგა-ბაღს, ასეთი კარგი შეფი რომ ჰყავს. შენობის რემონტი, სათამაშოების, მუსიკალური ინსტრუმენტების თუ ფერადი ტელევიზორის შეძენა — ეს ყველაფერი შეფების საზრუნავია. შარშან მათ ბაგა-ბაღს საჩუქრად ავტომანქანა „მოსკვიჩი“ გადასცეს. თვალი უკეთესს ვერ ნახავს, ისეთი ლამაზი ეზო მოეწყვეს პატარა საკუთარ ალაგებულ ავტოსადგომ-ავტოფარეხ-ავტოსადგომ აუზით. დამზადების მინისტრი თავად ხშირი სტუმარია ამ ბაგა-ბაღისა, მისი ნახვა აქ შეიძლება 1 ივნისს, 1 სექტემბერს, ახალი წლის წინ და სხვა, სადაც დღეებშიც. საშეფო მუშაობის ჩინებულად წარმართვისათვის საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შოთა ჭანუყვაძე „განათლების წარჩინებული მუშაკის“ სამკერდე ნიშნითაა დაჯილდოებული.

ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატი (დირექტორი — თ. მაგულიძე, პარტბიუროს მდივანი — ლ. გაბუნია), მთელ კავშირში მოწონაკი საწარმო, ქალაქის № 15 საშუალო სკოლის შეფობს, მაგრამ მისი შეფობა მარტო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვით არ ამოიწურება. აქ დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციის გამომუშავებას. კვირეული, რომელიც შეფებმა მოაწყვეს და რომელშიც მონაწილეობა მიაღებინეს შრომითი დინასტიების წარმომადგენლებს, მრავალშვილიან დედებს, წარჩინებულ მოსწავლეებსა და ასევე შრომაში წარჩინებულ, კარგი შვილების აღმზრდელ მშობლებს, დღესაც ახსოვთ ქუთაისში. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე იმსჯელა ამ კვირეულის თაობაზე, მოიწონა და რეკომენდაცია მისცა ქალაქის სხვა საწარმოებს, რათა გადაეღოთ ეს შესანიშნავი გამოცდილება.

მართლაც რომ, ხელგაშლილი შეფია ფოთის წყალქვარცხნა (დირექტორი — შ. ხორავა, პარტბიუროს მდივანი — ე. ტყებუჩავა) ქალაქის № 5 სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვასა და სხვა მრავალ საკითხებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, შეფებმა ისეთი საჩუქარი შეუძინეს თავიანთ აღსაზრდელებს, მთელი ქალაქი რომ ასიამოვნა — სასულე ინსტრუმენტების მთელი კომპლექტი! მოსწავლეებმა სასწრაფოდ ისწავლეს დაკვრა და ახლა მარტო სკოლის კი არა, საქალაქო ღონისძიებებსაც მეხუთე სკოლის ოკეანიანი სასულე ორკესტრი უძღვება.

აი ასე, რამდენი საწარმოც არის, იმდენი ინიციატივაა, იმდენ კოლექტივს სათავისო ამოცანები აღმოუჩენია. მახარაძის კომბინატი (დირექტორი — ლ. ხავთასი, პარტბიუროს მდივანი — ი. კვირჩილაძე) სოფელ მახარაძის საშუალო სკოლას შეფობს, მაგრამ განსაკუთრებულ ზრუნვას თავისი თანამშრომლების მრავალშვილიანი ოჯახებისათვის იჩენს: ეხმარება ფულადი ჯილდოთი, საშენი მასალებით. ამ კომბინატში 14 ასეთი ოჯახია. 1 — ცხრაშვილიანი, 2 — ექვსშვილიანი, 6 — ხუთშვილიანი და 5 — ოთხშვილიანი. (როგორც ვიცით, კანონი მრავალშვილიან ოჯახად ხუთი და მეტი შვილის მშობლებს თვლის, მაგრამ დამზადების სამინისტროში ეს ზღვარი ოთხზე დაიყვანეს. თუ წინათ ხუთი შვილი მრავალშვილიანობა იყო, ამ დემოგრაფიული გაჯირვებისას ოთხი შვილის პატრონიც მრავალშვილიანად ჩავთვალოთო,„ — გადაუწყვეტიათ აქ, და სავსებით მართებულადაც!).

თუმცა ნაკლოვანებებს ვინ გაიხსენებს, როცა ასეთ საგულისხმო ფაქტებს მოისმენ:

გორის პურპროდუქტების კომბინატის (დირექტორი — ჯ. ჭელიძე, პარტბიუროს მდივანი — ა. ოქრუაშვილი) ბავშვთა შორის მომუშავე კომისია თურმე ხშირი სტუმარია იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და სკოლებისა, სადაც კომბინატის თანამშრომელთა შვილები სწავლობენ. როგორ ნიშნებს ღებულობენ, როგორი ყოფაქცევით გამოირჩევიან, რა ინტერესსა და მიდრეკილებებს იჩენენ — აი რა აინტერესებს კომისიას და ფდლობა მათ ამ საქმიანობისათვის, რადგან ამის წყალობით არის, რომ 478 ყმაწვილიდან 85 ფრიადოსანია, 216 ოთხოსანი და არც ერთი — ჩამორჩენილი, არც ერთი ბავშვი არასოდეს გამოუძახიათ მილიციის ოთახში!

ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატი (დირექტორი — თ. მაგულიძე, პარტბიუროს მდივანი — ლ. გაბუნია), მთელ კავშირში მოწონაკი საწარმო, ქალაქის № 15 საშუალო სკოლას შეფობს, მაგრამ მისი შეფობა მარტო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვით არ ამოიწურება. აქ დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციის გამომუშავებას. კვირეული, რომელიც შეფებმა მოაწყვეს და რომელშიც მონაწილეობა მიაღებინეს შრომითი დინასტიების წარმომადგენლებს, მრავალშვილიან დედებს, წარჩინებულ მოსწავლეებსა და ასევე შრომაში წარჩინებულ, კარგი შვილების აღმზრდელ მშობლებს, დღესაც ახსოვთ ქუთაისში. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე იმსჯელა ამ კვირეულის თაობაზე, მოიწონა და რეკომენდაცია მისცა ქალაქის სხვა საწარმოებს, რათა გადაეღოთ ეს შესანიშნავი გამოცდილება.

მართლაც რომ, ხელგაშლილი შეფია ფოთის წყალქვარცხნა (დირექტორი — შ. ხორავა, პარტბიუროს მდივანი — ე. ტყებუჩავა) ქალაქის № 5 სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვასა და სხვა მრავალ საკითხებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, შეფებმა ისეთი საჩუქარი შეუძინეს თავიანთ აღსაზრდელებს, მთელი ქალაქი რომ ასიამოვნა — სასულე ინსტრუმენტების მთელი კომპლექტი! მოსწავლეებმა სასწრაფოდ ისწავლეს დაკვრა და ახლა მარტო სკოლის კი არა, საქალაქო ღონისძიებებსაც მეხუთე სკოლის ოკეანიანი სასულე ორკესტრი უძღვება.

აი ასე, რამდენი საწარმოც არის, იმდენი ინიციატივაა, იმდენ კოლექტივს სათავისო ამოცანები აღმოუჩენია. მახარაძის კომბინატი (დირექტორი — ლ. ხავთასი, პარტბიუროს მდივანი — ი. კვირჩილაძე) სოფელ მახარაძის საშუალო სკოლას შეფობს, მაგრამ განსაკუთრებულ ზრუნვას თავისი თანამშრომლების მრავალშვილიანი ოჯახებისათვის იჩენს: ეხმარება ფულადი ჯილდოთი, საშენი მასალებით. ამ კომბინატში 14 ასეთი ოჯახია. 1 — ცხრაშვილიანი, 2 — ექვსშვილიანი, 6 — ხუთშვილიანი და 5 — ოთხშვილიანი. (როგორც ვიცით, კანონი მრავალშვილიან ოჯახად ხუთი და მეტი შვილის მშობლებს თვლის, მაგრამ დამზადების სამინისტროში ეს ზღვარი ოთხზე დაიყვანეს. თუ წინათ ხუთი შვილი მრავალშვილიანობა იყო, ამ დემოგრაფიული გაჯირვებისას ოთხი შვილის პატრონიც მრავალშვილიანად ჩავთვალოთო„ — გადაუწყვეტიათ აქ, და სავსებით მართებულადაც!).

**ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲔᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲖᲝ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 14 ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ.**

**Ი. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

# პირველი ნაბიჯები

**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ** წელია, რაც თბილისში, კალინინის რაიონის სკოლების მშობელთა კომიტეტებთან შეიქმნა მამათა საბჭოები. მამათა საბჭოების შემადგენლობაში ყველა კლასიდან თითო აქტიური მამის გარდა აირჩიეს სკოლის მედმუშაკი და არასრულწლოვანთა ინსპექციის უნინს ინსპექტორი, სულ შეიქმნა 15 მამათა საბჭო 285 კაცის შემადგენლობით.

ამ ხანში მამათა საბჭოებმა უკვე შეიძინეს მუშაობის გამოცდილება. საბჭოს წევრები საღამოს საათებში სკოლების მიკრორაიონებში აწყობენ რეიდებს, ესტუმრებიან ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეთა ოჯახებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართულებით 41-ე სკოლის მამათა საბჭოს წევრთა მუშაობა ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეებთან.

51-ე სკოლის მამათა საბჭოს წევრები ხშირად მორიგეობენ კიროვის სახელობის პარკსა და კინოთეატრ „ამირანში“.

ნაყოფიერი მუშაობა გასწია მე-40 სკოლის მამათა საბჭომ ოფიცრის პროფესიის პროპაგანდის მიზნით. ამ მიმართულებით განეული მუშაობის შედეგად სკოლის ორი კურსდამთავრებული ახლა სწავლას უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში აგრძელებს. გვყვარა, მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

28-ე რვაწლიანი სკოლის მამათა საბჭომ დიდი ზემოქმედება მოახდინა VIII კლასის იმ მოსწავლეებზე, რომლებიც სწავლას გაურბოდნენ და დისციპლინას არღვევდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 44-ე სკოლის მამათა საბჭოს მუშაობა. მამათა საბჭოს ნვერი კოლესნიკოვი VIII კლასის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ერთად ხელმძღვანელობდა მიზნობრივ ექსკურსიებს ქალაქის პროფსასწავლებლებში. მისი უშუალო დახმარებით შევიდა პროფტექნიკურ სასწავლებლებში არაერთი რვაკლასდამთავრებული. ეს ყმაწვილები პროფტექსასწავლებელშიც ყოჩაღობენ.

მამათა საბჭოს წევრებმა ამხ. ნატალიჩევმა, ბეჟანოვმა, ტატიშვილმა დიდი დახმარება გაუწიეს სკოლას მოსწავლეთა შორის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ მუშაობაში.

44-ე სკოლის მამათა საბჭოს ფაამჯდომარე თ. ზედელაშვილი სისტემატურად ეხმარება სკოლას თემატური ექსკურსიებისა და დასვენების დღეების მოწყობაში.

მამათა საბჭო აქტიურად მონაწილეობს კვირადღის კლუბის „რომანტიკოსის“ მუშაობაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მამათა საბჭოებს ყველგან ჯერ მთელი ძალით არა აქვთ გაშლილი მუშაობა, კერძოდ, 42-ე, 49-ე, 50-ე, 53-ე, 59-ე, 58-ე სკოლებში მამათა საბჭოები პასიურობენ.

იმედია, გამოცდილების შეძენის კვალობაზე მამათა საბჭოები სულ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანენ ჩვენს საერთო დიდ საქმე — თაგიანთ წელილს შეიტანენ მოზარდი თაობის ღირსეულად აღზრდაში.

**Ე. ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ,**
**თბილისის კალინინის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.**

# ოჯახური გუნდის ფინიში...

**„ᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ“**... აბა, ასეთი უბრალო, ჩვეულებრივ სიტყვებში განსაკუთრებული რა უნდა იყოს! ჰოდა, დიმასაც წამდაუწუმ პირზე ეკერა სიტყვები: „აი, მე და მამაჩემმა... მამა ჩამოვა... მამა რო მოვა...“.

მაგრამ ერთხელ მამა არ მოვიდა. და რაც უფრო ხშირად იმეორებდა დედა მამა ხანგრძლივ მივლინებაშიაო, რაც უფრო ხშირად ახსენებდა, მამის რაღაც სერიოზულ საქმეებს თუ გზაში დაკარგულ წერილს, მით უფრო შფოთავდა დიმა. გუმანით რაღაცას გრძნობდა, ხვდებოდა, მაგრამ ამას დედას არ უმღაღნებდა, ისევე როგორც დედა არ უმხელდა დიმას.

ასე დაატყდა ათიოდე წლის ბიჭს მძიმე, არაბავშვური საფიქრალი. შინ ყველაფერი ცუდად იყო: სადღა იყო უწინდელი სითბო, უშუალობა, გულწრფელობა. ბიჭი გაუცხოვდა. საფოსტო ყუთში უკვე აღარ იხედებოდა, თავისი კლასელი ბიჭები შინ აღარ მოჰყავდა, სიტყვა „მამა“ თითქოს დაავიწყდა. მაგრამ ერთხელ, ბავშვები ლაპარაკში რომ გაერთნენ, ანაზდად, ვითომც აქ არაფერია, დაიწყო:

— აი, მე და მამამ ამას წინათ...

ჰოდა, ვეღარ გაჩერდა, ენას საბელი ვეღარ ამოსდო; რაღაცას მოუხერხებლად იგონებდა, ტრაბახობდა.

ბიჭები გაჩუმებული იდგნენ და უსმენდნენ, მერე ერთ-ერთმა მიახალა: — რას ტყუი? მამაშენმა მიგატოვათ...

... ომსკის 85-ე საშუალო სკოლის დირექტორის კარი მორიდებით შეაღო ქალმა. ჩანდა, უსიამოვნო საუბრისათვის იყო მოსული. უხერხულობიდან რომ დაეხსნა, დირექტორმა თავად წამოიწყო:

— ძალიან ხომ არ ჩქარობთ? მაშინ აი, ამას შეხედეთ! და ქალს მოზრდილი ფურცელი გაუწოდა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა — „ოჯახის ხმა“.— მოგწონთ? სტამბაში დავბეჭდეთ. მშობელთა კომიტეტი გვყავს ისეთი, რომ უკეთესს ვერ ინატრებ!

— ვიცი, ყველა ამას ამბობს, — გაიღიმა სტუმარმა. — ამიტომაც მოგაკითხეთ ჩემი გასაჭირით. ქმარმა მიმატოვა... ბიჭი ისე განიცდის, რომ მისი ყურება აღარ ძალმიძს. რაც შემიძლია, ვამშვიდებ, მამას მივლინება გაუგრძელეს-მეთქი, მაგრამ ხალხს რა გამოეპარება, სხვას ამბობენ. ეტყობა, ამან ბიჭის ყურამდეც მიაღწია. ტირის, სკოლაში წამსვლა აღარ უნდა.

დიდხანს ისხდნენ დიმას დედა და დირექტორი — გამოსავალს ეძებდნენ. მერე მასწავლებელმა ურჩია, მოდით, ჩვენი სკოლის „მამათა საბჭოს“ მივმართთოთო.

— ძალიან ავტორიტეტიანი და ნამდვილად ბრძენი საბჭო გვყავს: დინჯი, ღირსეული, ტალანტიანი კაცები არიან. ნეტავ იცოდეთ, რამდენი საოჯახო კონფლიქტი მოუგვარებიათ! თქვენს მეუღლესაც მიინვევენ მამაკაცური საუბრისათვის. ეს მათ კარგად ეხერხებათ!

ადვილი სათქმელია — „ეხერხებათ“... მართალია, ჭკუა და გამოცდილება „მამათა საბჭოს“ არ აკლია — თხუთმეტი წელია წარმატებით საქმიანობს. იგი ომსკის 85-ე სკოლაში, სინდისზე, ღირსებაზე, მოვალეობასა და მამის ვალზე აქ მუქარისა და ძახითი ნიშნების გარეშე ლაპარაკობენ. მაგრამ რით დაუბრუნებ ასაკსრულ ადამიანს იმას, რასაც თავად ვერ გაუფრთხილდა — კეთილ ურთიერთობას, გრძნობებს? უამისოდ, ხომ არც ოჯახია და არც სიამტკბილობა. უამისოდ წარმოუდგენელია ბედნიერი ბავშვობაც...

დიმას მამა სკოლაში გორობაში არასოდეს არ მოუყრია თავი ამდენ მამაკაცს. დიდი ტრანსპარანტი შესასვლელშივე ესალმებათ: „გამარჯობათ, მამებო!“.

მამები მღელვარებით უსმენენ შვილების პასუხს კითხვაზე: „რატომ მიყვარს მამა?“. აღმზრდელებს არ დაუსახელებიათ ბავშვები, რომლებმაც პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. ყოველი მშობელი თვითონ ცნობდა თავის თავს.

რა ჭარბობდა პასუხებში? „მამა იმიტომ მიყვარს, რომ მხიარულია და მეთამაშება ხოლმე“, „იმიტომ, რომ კეთილია“, „იმიტომ, რომ ხალხის გაბერტყვაში ეხმარება დედას“, „იმიტომ, რომ ზღაპრებს მიკითხავს“

იყო ისეთი პასუხები, რომლებიდანაც გამოირკვა, რომ ზოგიერთი მშობელი ხშირად უყვირის ბავშვებს, დაუმსახურებლად ტუქსავს, იყო ასეთი პასუხებიც: „მამა იმიტომ მიყვარს, რომ დიდი თანამდებობა აქვს“, „იმიტომ, რომ ბევრი ფული მოაქვს“. ნუთუ არ აშინებთ მშობლებს, რომ 5-6 წლის ბავშვს დიდ რამედ მიაჩნია ფული, ძვირფასი ავტომანქანა, დიდი თანამდებობა?

ზი სახით მოვიდა: აქაოდა, ვინ ბედავს ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევასო? მაგრამ აქედან დარცხვენილი და ჩაფიქრებული წავიდა. ყველას გულწრფელი მადლობა გადაუხადა, მისი შვილის ბედით რომ დაინტერესდნენ. მადლობა მოახსენა მზრუნველობისათვის, სიკეთისა და ტაქტიანობისათვის. ის არავის „დაუკითხავს“, საყვედური არავის უთქვამს, საჯარო აღიარებისათვის არავის მოუწოდებია, არავითარი პირობა არ ჩამოუთქვამეკია: არა, ისინი მხოლოდ გულისტკივილით უამბობდნენ ბიჭუნას განცდებზე. ურჩევდნენ, ეფიქრათ, როგორ დაბრუნებინა ბავშვისათვის სიკეთისა და სამართლიანობის რწმენა: „თქვენ მამაკაცი ხართ, მამა. მოდით გაარკვიეთ ცოლთან თქვენი ურთიერთობა; იზრუნეთ, რომ ბავშვი არ დაგეჩაგროთ“. მერე ისიც უკარნახეს, პირველი ნაბიჯი როგორ გადაედგა:

— თქვენი შვილის კლასში სათხილამურო კროსისათვის სამზადისს შეუდგნენ. გავიგეთ, რომ თქვენ კარგი მოთხილამურე ყოფილხართ. იქნებ, ინსტრუქტორის, ორგანიზატორის როლი გეკისრათ? ბიჭი გაიხარებდა...

ასე მოიპოვა დიმამ უფლება ჩვეულებრივსა და ასეთ მნიშვნელოვან სიტყვებზე: „აი, მე და მამამ“...

ამასობაში სკოლაში დიმას დედაც მიინვიეს. ჰკითხეს, თხილამურებით სიარული თუ იცითო. არაო, უპასუხა ქალმა „ჰოდა ისწავლეთ! ზამთრის არდადეგებზე სკოლაში შეჯიბრი ეწყობა დევიზით: „მამა, დედა და მე — სპორტული ოჯახი ვართ“. რა მოხდება, ამ შეჯიბრში მონაწილეობა თქვენმა ოჯახმაც რომ მიიღოს?

გრძელი იყო თუ მოკლე ის სათხილამურო გზა, არავინ უნყის, ეს კია, რომ დიმას ოჯახური გუნდი მან სასურველ და ბედნიერ ფინიშამდე მიიყვანა.

**Ა. ᲒᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲐ.**

Მ. ᲝᲛᲡᲙᲘ.

# გამარჯობათ, მამებო!

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲒᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ**

**ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ** კრება საბავშვო ბაღში... თუ მიგიქცევიათ ყურადღება, უფრო ხშირად ვინ მოდის ხოლმე ამ კრებაზე? დედები, ბებიები, პაპები. ბევრად იშვიათად — მამები. მაგრამ რატომ არ უნდა გავხადოთ ისინი თანასწორუფლებიან პარტნიორებად შვილების აღზრდაში? ასეთი მიზანი დასახეს ბულგარეთის ქალაქ პანაგიურიშტის № 1 საბავშვო ბაღში, რომელსაც ცვეტანა სუგარიოვა ხელმძღვანელობს. და აი, გადაწყდა „პედაგოგიური უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი მეცადინეობა მიეძღვნათ მამის პრობლემისათვის, სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდაში მისი როლისათვის.

18 საათია, საბავშვო დაწესებულებაში ყველა ერთად ვიმყოფებით. ბავშვებს ბაღის ეზოში ბურთი ეგორავა, ბებიები ერთმანეთს ეფერებოდნენ, ბაბუები ეწეოდნენ, ბაბუა ბებიებს ეფერებოდა, ბებიები ბაბუებს ეფერებოდნენ, ბაბუა ბებიებს ეფერებო

კომუნისტი
# საკვირველი საკითხვა
ეროვნული ბალანსი

## ნარდგენილია რუსთაველის პრემიაზე

# უფხიზლესი გრძნობა სინამდვილისა

**XX საუკუნის** ძირითად მახასიათებლებს შორის სოციოლოგები საგანგებოდ აღნიშნავენ უმაღლესი პროფესიონალიზმის თანაარსებობის ფაქტს პროფესიული სიღატაკის გამოვლინებებთან.

და მართლაც, თანამედროვენი თითქმის ნებისმიერ დარგში აწყდებიან პარადოქსულ სიტუაციებს, სადაც პროფესიონალს ცვლის დილეტანტი, მცოდნეს— იმიტატორი; საქმეს — უბედობა, შემოქმედებას — ფრაზიორობა.

ეს პროცესი გლობალურია...

ოთარ ჭილაძის, როგორც პროფესიონალი ტალანტის არსებობის ფაქტიდან კი გარდა აზრონვებისა და მხატვრული სიბასრისა — უდიდესი ზნეობრივი ძალა გამოსჭვივის.

ოთარ ჭილაძე არც თავად წერს რამეს თვალის ერთი გადავლებით და მკითხველმიც დაუხდობლად ებრძვის ცხოვრებაზე ზერელე განსჯის ინერციას.

თუ სურს სწორი წარმოდგენა იქონიოს ამ სამყაროზე, მკითხველს რჩება ერთადერთი გზა: ესაა იმ სამყაროსთან ისეთივე გულმოდგინებით, ჩაღრმავებით, ჯიუტი თანმიმდევრობით ზიარების გზა, რომელ სამყაროსაც მას მწერალი სთავაზობს, მაგრამ სთავაზობს თვითგაღებისა და სულიერი ძალების უკიდურესი მობილიზაციის გარანტიით.

რა სამყაროა ეს და რისი აღმთქმელია მასთან ზიარება?

„რკინის თეატრი“ ორი ერთმანეთისგან გაუთიშავი, ერთმანეთში გარდამავალი, ერთიმეორისგან გამომდინარე პლანებით კონსტრუირებულ სამყაროს წარმოსახავს.

ერთია ისტორიულ-ფაქტობრივი პლანი. მეორეა ამ ფაქტობრივ-ისტორიულ სიტუაციაში არსებული ქვეყნისა და მისი შვილების სულიერი განწმენდის, განახლების, აღორძინების კათარზისული პლანი.

რომანის ფაქტობრივ-ისტორიული პლანი „დროის უკან დაბრუნების“ გზით გვპირდება ამ ისტორიასთან ზიარებას და მის ხელმეორედ შეგრძნებას.

რაც შეეხება რომანს მეორე პლანს, რომელიც ამ უკან დაბრუნებული დროის განცდიდან მომდინარეობს, მის მექანიზმში მკითხველი მხოლოდ რომანის ფინალში გაერკვევა.

როდესაც მკითხველი რომანის უკანასკნელ სიტყვასთან დასმულ მრავალწერტილს მოსწყვეტს თვალს, ის ხვდება, რომ რაც რომანში იყო წარმოსახული და განცდილი, როგორც „უკან დაბრუნებული დრო“, ამ დროის დასრულების კი არა, წრის სამოლო შეკვრის კი არა, არამედ ცხოვრების უწყვეტ და ღია პროცესად შეგრძნების მაუწყებელი ყოფილა.

და მსგავსად პროექტორებით გაჩირაღდებულ ნავსადგურში მრეშე ბურუსიდან შემოცურებული ხომალდის თანდათანობითი გამოკვეთისა — მკითხველი ნელ-ნელა, თანდათანობით, ფიზიკურად შესაგრძნობი გარკვეულობით აღნობიერებს, რომ

## ზამბარები...

### ცემენტისაგან

**ინგლისი.** ცემენტის მექანიკური თვისებები, თურმე, ერთობ იცვლება და ლითონის თვისებებს უახლოვდება, თუ მას ნასვრეტები აღარ ექნება.

უკვე შემუშავებულია ჩვეულებრივი პროტლანდცემენტიდან ზამბარების დამზადების იოლი ტექნოლოგია.

ნასვრეტები რომ არ ჰქონდეს, ცემენტში სხვადასხვა ორგანული ნივთიერებები შეაქვთ. ასეთი ცემენტი მილიონჯერ უფრო წყალგაუმტარია, ვიდრე ჩვეულებრივი.

### კოსმოსის მომავალი

### კონსტრუქციები

**საფრანგეთი.** ფირმა „აეროსპასიალი“ აწარმოებს იმ კოსმოსური კონსტრუქციების შეფასებას რომლებიც მომავალ კოსმოსურ ხომალდებზე და სხვა კოსმოსურ აპარატებზე შეიძლება გამოიყენონ.

სპეციალისტების აზრით ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულება გასაშლელი ანტენების შექმნა. ამ ანტენებს დაეცილს ჩადებენ ხომალდის ორბიტაში და დაგეგმილ ზამბარ გაშლიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხომალდი ორბიტაზე გავა.

ცნობების თანახმად, ფირმა „ლოკჰიდ მისაილ ენდ სპეისი“ (აშშ) ასეთი ანტენის გაშვებას კოსმოსში 2000 წლისთვის აპირებს. ვარაუდობენ, რომ კონსტრუქცია, რომლის დიამეტრი 55 მეტრი იქნება, მეცნიერებს ინფრაწითელი და სუბმილიმეტრიანი ტალღებით დაკვირვებების საშუალებას მისცემს.

### ნერვული უჯრედების

### აღდგენა შესაძლებელია!

**შვეიცია.** აქამდე საყოველთაოდ მიღებული დოგმა, თითქოს თავის ტვინის მკვდარი ნერვული უჯრედების აღდგენა შეუძლებელი იყოს, ახლა ალარ არის მიჩნეული უცილობელ ჭეშმარიტებად. შუშვდება ცენტრალური ნერვული სისტემის ნერვული უჯრედების აღდგენის მეთოდები.

ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეთოდად მეცნიერებს მიაჩნიათ ნერვული ქსოვილების გადანერგვა. როგორც პროფესორი ა. ბიერკლუნდი (ქ. ლუნდის უნივერსიტეტი) გვაცნობებს, მისი კოლექტივის მიერ ჩატარებული უკანასკნელი ექსპერიმენტების შედეგად შესაძლებელი გახდა ვირთხების თავის ტვინის დაკარგული ფუნქციის აღდგენა.

ექსპერიმენტი გრძელდება.

### პასიური... მოწევა?

**იაპონია.** ადამიანის სხეულში ჰიდროკაროლინის შემცველობის დადგენის გზით პროფესორმა ხიტოსი კასუგამ (ტოკიოს უნივერსიტეტი) გამოარკვია, რომ, როდესაც ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთი ბევრს ეწევა — მეორე „პასიურად“ ეწევა დღეში 10 ცალ სიგარეტს, ხოლო ადამიანები, რომლებიც მწეველთა კოლექტივში მუშაობენ — დღეში 20 ცალს. ასე რომ თამბაქოს „პასიური“ მოწევაც საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

### დრაკონის „ნათესავი“

**ავსტრალია.** აქამდე ეგონათ, თითქოს „კუნძულის დრაკონები“ — გიგანტური რეპტილიები — ვარანები მხოლოდ ინდონეზიაში, კომოდოს კუნძულზე ბინადრობდნენ.

მაგრამ, ახალი გვინეის კუნძულის მიუდგომელ ჭაობიან ადგილას მოძებნილ ექსპედიციის წევრები 5 მეტრი სიგრძის ვარანს წააწყდნენ. გიგანტური ხვლიკი კინოფირზეც გადაიღეს, როცა ის გარეულ ირემზე ნადირობდა.

ახალი სახეობა განსხვავდება „კომოდოს დრაკონისაგან“, მაგრამ უთუოდ მისი უახლოესი „ნათესავია“.

საკვირველია, სულ 240 კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე დასახლებულ კუნძულზე აქამდე როგორ დარჩა შეუნიშნავი უცნობი გიგანტური ცხოველი!

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**

## ნარდგენილია რუსთაველის პრემიაზე

**XX საუკუნის** ძირითად მახასიათებლებს შორის სოციოლოგები საგანგებოდ აღნიშნავენ უმაღლესი პროფესიონალიზმის თანაარსებობის ფაქტს პროფესიული სიღატაკის გამოვლინებებთან.

და მართლაც, თანამედროვენი თითქმის ნებისმიერ დარგში აწყდებიან პარადოქსულ სიტუაციებს, სადაც პროფესიონალს ცვლის დილეტანტი, მცოდნეს— იმიტატორი; საქმეს — უბედობა, შემოქმედებას — ფრაზიორობა.

ეს პროცესი გლობალურია...

ოთარ ჭილაძის, როგორც პროფესიონალი ტალანტის არსებობის ფაქტიდან კი გარდა აზრონვებისა და მხატვრული სიბასრისა — უდიდესი ზნეობრივი ძალა გამოსჭვივის.

ოთარ ჭილაძე არც თავად წერს რამეს თვალის ერთი გადავლებით და მკითხველმიც დაუხდობლად ებრძვის ცხოვრებაზე ზერელე განსჯის ინერციას.

თუ სურს სწორი წარმოდგენა იქონიოს ამ სამყაროზე, მკითხველს რჩება ერთადერთი გზა: ესაა იმ სამყაროსთან ისეთივე გულმოდგინებით, ჩაღრმავებით, ჯიუტი თანმიმდევრობით ზიარების გზა, რომელ სამყაროსაც მას მწერალი სთავაზობს, მაგრამ სთავაზობს თვითგაღებისა და სულიერი ძალების უკიდურესი მობილიზაციის გარანტიით.

რა სამყაროა ეს და რისი აღმთქმელია მასთან ზიარება?

„რკინის თეატრი“ ორი ერთმანეთისგან გაუთიშავი, ერთმანეთში გარდამავალი, ერთიმეორისგან გამომდინარე პლანებით კონსტრუირებულ სამყაროს წარმოსახავს.

ერთია ისტორიულ-ფაქტობრივი პლანი. მეორეა ამ ფაქტობრივ-ისტორიულ სიტუაციაში არსებული ქვეყნისა და მისი შვილების სულიერი განწმენდის, განახლების, აღორძინების კათარზისული პლანი.

რომანის ფაქტობრივ-ისტორიული პლანი „დროის უკან დაბრუნების“ გზით გვპირდება ამ ისტორიასთან ზიარებას და მის ხელმეორედ შეგრძნებას.

რაც შეეხება რომანს მეორე პლანს, რომელიც ამ უკან დაბრუნებული დროის განცდიდან მომდინარეობს, მის მექანიზმში მკითხველი მხოლოდ რომანის ფინალში გაერკვევა.

როდესაც მკითხველი რომანის უკანასკნელ სიტყვასთან დასმულ მრავალწერტილს მოსწყვეტს თვალს, ის ხვდება, რომ რაც რომანში იყო წარმოსახული და განცდილი, როგორც „უკან დაბრუნებული დრო“, ამ დროის დასრულების კი არა, წრის სამოლო შეკვრის კი არა, არამედ ცხოვრების უწყვეტ და ღია პროცესად შეგრძნების მაუწყებელი ყოფილა.

და მსგავსად პროექტორებით გაჩირაღდებულ ნავსადგურში მრეშე ბურუსიდან შემოცურებული ხომალდის თანდათანობითი გამოკვეთისა — მკითხველი ნელ-ნელა, თანდათანობით, ფიზიკურად შესაგრძნობი გარკვეულობით აღნობიერებს, რომ

ლეთის ხანგრძლივი ომი კავკასიაში. ჯერ სან-სტეფანოს ზავის, ხოლო 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატის შემდეგ საქართველომ თავისი სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიის ნაწილი დაიბრუნა. ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ ერთბაშად გამოცალა ბათუმის იერიც, ცხოვრების ტემპიც და ორგანულად ჩართო იგი საქართველოს ცხოვრების ფერხულში.

იყო აჭარის დეპუტაციასთან ქართული ინტელიგენციის შეხვედრის გულაჩუყებელი სცენები, იღვრებოდა სიხარულის ცრემლები და მაღალფარდოვანი სიტყვები.

სიამაყის გრძნობა მსჭვალავდა გათელილ ეროვნულ ღირსებას და წელში სწორდებოდა. მაგრამ არც მტერი იყო მხარ-თეძოზე წამოწოლილი. ხომ თითქოს დაუჯერებელია, მტერს თუნდაც სიბეცით მოსცოდა თავში ასეთი უგუნური აზრის პრაქტიკულად განხორციელებამ, მაგრამ ფაქტია, რომ 80-იან წლებში ქართველებს „საქართველოს“ ხსენების უფლება ეკრძალებოდათ.

იხურება: „დროება“, „შრომა“ და ნიკო ნიკოლაძის „ობზორი“.

სამაგიეროდ „კავკაზში“, „ვესტნიკ ევროპასა“ და „სოვრემენნი ვესტნიკიში“ გაბშირდა ეროვნული ღირსების შემლახველი და ქართველი ერის უპერსპექტივობის დამასაბუთებელი „ისტორიული“ ნარკვევები.

ასეთ გარეშე და შინაური მტრების მოსაგერიებელი ბრძოლის, როგორც გოლგოთის გზას აღგება ილია ჭავჭავაძე. მასთან ერთად საგანგაშო ზარებს არისხებენ:

აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი უიფიანი, ნიკო ნიკოლაძე...

80-იანი წლების საქართველოში უკვე რევოლუციური იდეების დუღილის პროცესია. 1897 წელს გ. სოღორაშვილი თარგმნის მარქსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“. რუსეთ-იაპონიის ომიც, და ყველას პირზე აკერია: „ოი, ამას ვენაცვალე“. 1905 წლის რევოლუციაა.

ბათუმში დემონსტრანტებისათვის ტყვიის დაშენის ბრძანებას პროტესტით უპასუხებს ჯერ კიდევ არა დიდი ქართველი მწერალი, არამედ მეფის არმიის ოფიცერი დავით კლდიაშვილი.

ყველას პირზე აკერია: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“... ამას, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებში წერენ, მოსდევს რეაქციის ხანა.

და როგორც დასამხობად კანონზომიერად განწირული საზოგადოების მიერ გადადგმული „ყველაზე გონივრული“ ნაბიჯიდან გამოსჭვივის ხოლმე ყველაზე დიდი სიბეცე, ასეთი ნაბიჯიც გადაიდგა — ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

მაგრამ მტერი აქაც შეცდა... შეცდა, რადგანაც ილიას მკვლელობის შემდეგ ისტორიულ გზაზე ქართველი ერი — ინდივიდი, ოთარ ჭილაძის ამ რომანის ყმაწვილი გმირის მსგავსად, „მოდიოდა და მდუღარე ცრემლი ჩამოსდიოდა ლოყებზე. მაგრამ სრულებითაც არ ერცხვინებოდა, რადგან ბავშვურად კი არ მისტიროდა იმას, რისი დაბრუნებაც აღარ შეიძლება, არამედ მამაკაცურად გლოვობდა ყველაფერს, რისი დავიწყებაც დანაშაული. მტირალს დასცინიან და არა მგლოვიარეს, ტირილი ფარ-ხმალის დაყრაა, საკუთარი უმწეობის აღიარებაა. ხოლო გლოვა შენს შეურყეველობას, შენს სიჯიუტეს და სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს მხოლოდ“.

აი, ისტორიული სიტუაცია და პერიპეტიები, რომლებიც ხან ეკლესიტრებივით ინთება „რკინის თეატრში“, ხანაც მხატვრული განზოგადების მიზანს ემსახურება.

ისტორიული ფონი ო. ჭილაძისთვის მსოფლიო ისტორიულ ოჯახში ერი — ინდივიდის, მისი საზრისის, მისი თვითგაგების, მისი ხასიათის წანამძღვრებში გარკვევას ემსახურება. ამიტომაა, რომ მწერალს იმის სიზუსტე უფრო აინტერესებს, თუ ისტორიის ჯოჯოხეთური განსაცდელიდან რა დანაშრეგები, რაგვარი სულიერი წყობა გამოიტანა მისმა ერმა — ინდივიდმა, ვიდრე ისტორიული ქარგა თავისთავად.

ამიტომ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ, როგორც პრობლემა, „რკინის თეატრი“ მთავარი გმირი დროა. ყველაფერს, რაც რომანში ხდება, მსჭვალავს დროის უმძაფრესი შეგრძნების განცდა. ამ შეგრძნების მატარებლები კი ადამიანები არიან.

ადამიანთა ხვედრზე დროის ნიშან-თვისებათა აღბეჭდვის ყველაზე მძვინვარე პერიოდი ეგრეთ წოდებული „კრიზისული დროის“ ხანაა. „კრიზისული დროის“ ხატია „მშობიარე სიკვდილის“ მეტაფორა.

კრიზისული დროის დადგომა იმის მაუწყებელია, რომ დადგა ძველისა და ახლის განწვალების ჟამი.

ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრიც“ მსოფლიო და ეროვნული ისტორიის ამგვარ პერიოდს ეხება. ეს არის „საუკუნიდან საუკუნეში გარდამავალი“ კრიზისული დრო.

ო. ჭილაძის „რკინის თეატრი“ გვიხატავს ცხოვრებას ამ უდიდესი ისტორიული და ფსიქოლოგიური ძვრების მიჯნაზე.

რომანში ამ დროის ხასიათი გახსნილია, როგორც გლობალური მასშტაბებით, ისე იმ კონკრეტული მისამართებით, სადაც ეს დრო თავისი ყველაზე შემაძრწუნებელი სისასტიკით შეჰრეოლ. ამ კონკრეტულ მისამართებს გადმოვყავართ ჩვენ საქართველოში, ბათუმში, და მივყავართ რამდენიმე ოჯახისა და ადამიანის ხვედრთან. სწორედ ამ საფეხურიდან იხსნება ოთარ ჭილაძის მხატვრული კონცეფციის თავისებურებანი.

საქმე ის არის, რომ ო. ჭილაძე რომანისტია, რომელსაც რომანის არსებით ნიშნად არ მიაჩნია მაგისტრალურ სიუჟეტში გამოვლენილი ხასიათებისა და ვნებათაღელვის სათავეგადასავლო ეფექტები. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ხასიათებისა და ვნებათაღელვის ანალიზს, როგორც მათი მექანიზმის საღდუმლოებაში ჩახედვის სტიმულს.

ო. ჭილაძე აჩვენებს მკითხველს, რომ როგორც ბუნებაში, ისე ადამიანის ცხოვრებაში, არ არსებობს თუნდაც წვრილმანი ფაქტი, რომელიც არ წვიფლებდეს მინგანი და გარეგანი წიხაღმდეგობების მუხტს. ამიტომაც მოვლენებსა და ადამიანების საინტერესო და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თვალსმომჭრელად გაღვენებული ფოქვდენანი, არამედ ამ მოქმედების სტიმულები თავისი სიღრმით და ღინამზმით.

ამიტომაა, რომ მიეზედავად ისტორიული სახელების გაელვებებისა: ილია, აკაკი, ალ. ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, კრიზისული დროის ნიშან-თვისებათა წარმოსაჩენად მწერალი არ ირჩევს ისტორიულ პიროვნებებს.

თუ რატომ, ეს გასაგებია.

ისტორიული პერსონაჟები თავისი ბიოგრაფიული ქარგისა და ხვედრის უკვე ცნობილი მონახაზებით, საკუთარ ლოგიკას და მიმართულებას ანებივენ მწერალს. ოთარ ჭილაძეც ისტორიული სიტუაციისა და დროის ნიშან-თვისებათა სარეალიზაციოდ გამონაგონ პერსონაჟებს იხმობს.

ზოგიერთ მთგანს არც სახელი აქვს, არც გვარი. არიან ადამიანები, რომლებიც ფუნქციით, სოციალური როლის შესრულებით რჩებიან ხსოვნაში და არა თუნდაც იმავე როლთან საკუთარი ამბერიდან მას საქმე აქვს ცხოვრების სცენაზე ადამიანთა „თავფეხიანად, სულის ფსკერამდე, გაშიშვლების“ დრამატულ სპექტაკლთან.

ამ სპექტაკლის დრამატურგიული სიუჟეტი მკრთალია. ეს სიუჟეტი ო. ჭილაძის მხატვრული კონკრეტიზაციისთვის მეორადია. ამიტომაც, სიუჟეტურ ქარგად ის ირჩევს მელოდრამული სპექტაკლებისათვის დამახასიათებელ ქარგას.

ბათუმში ჩამოდიან ახლადდაქორწინებული მსახიობი და ელენე. ქალაქში მძვინვარებდა რევოლუციური სცენები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები. იღვრებოდა მუშათა სისხლი, გაიელვებს დავით კლდიაშვილის ფიგურა. და თბილისელი მსახიობიც, ისევაც აფორიაქებულ ქალაქს, თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით აფორიაქებს. მსახიობმა რევოლუციონერის როლის შესრულება გადაწვიტა. მაგრამ ხელისუფლება მას „დაუსჯელობით სჯიდა“. მსახიობს ცოლი თბილისში გაექცა.

თბილისელი მსახიობისა და ელენეს ბათუმში ცხოვრების პირველ პერიოდში იკვეთება დიმიტრი ჟურულის ოჯახის ხაზი.

ყოფილი პოლიციმაისტერის შვილი, ამჟამად ადვოკატი, და მისი მეუღლე მსახიობისა და ელენეს გულითადი მასპინძლები არიან.

მომავალში სწორედ მათი ქალიშვილის — ნატოსა და მსახიობისა და ელენეს ვაჟიშვილის — გელას რომანი იქცევა „რკინის თეატრის“ სიუჟეტის მამოძრავებელ ღერძად.

ამ სიუჟეტში ერთვება საბა ლაფაჩის — საკუთარ ძირებს მოსახისა და ადამიანური ბუნების განზავებით. ერთი ასეთი უსახელო პერსონაჟის შესახებ, კერძოდ, პოლიციმაისტერზე რომანში ნათქვამია: „თითქოს პოლიციმაისტერი ნამდვილად პოლიციმაისტერი კი არ იყო, პოლიციმაისტერს თამაშობდაო“...

ამ საფეხურიდან ო. ჭილაძე მკითხველს სთავაზობს „რკინის თეატრის“ მხატვრული სტრუქტურის გასაღებს.

ოთარ ჭილაძის რომანის გმირთა ცხოვრებაში თამაშდება დრამა, რომელიც არანაკლებ სულისშემძვრელია, ვიდრე თეატრის სცენაზე გათამაშებული დრამა.

ო. ჭილაძე გვიჩვენებს, რომ მისი გმირები თეატრის სცენაზე შესრულებული ამგვარი დრამატული როლისათვის, ალბათ, ტაშს, თაიგულებს, სიყვარულს და აღიარებას მოიმკიდნენ; ცხოვრებაში კი მათ სასჯელივით უხდებათ უმძიმესი ტვირთის ზიდვა. ეს კანონი საყოველთაოა.

„რკინის თეატრის“ პერსონაჟებიც ამ კანონზომიერების ლოგიკით ცხოვრობენ.

მკითხველი ხვდება, რომ მის წინაშეა სრულიად ნათლად გამოკვეთილი მხატვრული კონცეფცია.

წყვეტილი ოფიცრის უიღბლო ცხოვრების ხაზიც.

„რკინის თეატრში“ გამოჩენილ პერსონაჟთა საერთო დრამა კონკრეტდება და ანალიზდება როგორც თითოეული გმირის მონოდრამა.

ამ დაკონკრეტებული მონოდრამიდან კი მკითხველი იმ მიზეზებისა და შინაგანი საიდუმლოების მოზიარე ხდება, რამაც თითოეული მათგანის ტრაგიკული ხვედრი განსაზღვრა.

მსახიობი, რომლის არც სახელი ვიცით და არც გვარი, ისე ამთავრებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით, რომ ცხოვრების სცენაზე მან გმირის როლის განსახიერება ვერ შეძლო. არადა, თავის მოწოდებად მას ეს მიაჩნდა. მსახიობმა სახე დაკარგა. თუ რატომ მოხდა ასე, ამას შემდეგ მისი მეუღლე ელენე გააცნობიერებს, როდესაც საკუთარ წარსულში „ხელმეორედ შებრუნების“ შემდეგ ის თავის როლსაც აღმოაჩენს ქმრის საბედისწერო ხვედრში და მსახიობის მთავარ შეცდომასაც. შეცდომა კი, ელენეს ხილვის მიხედვით, ის იყო, რომ მისი ქმარი „მეფეს კი არა, გუბერნიის მოსამართლეს კი არა, საკუთარ ბუნებას“ უნდა აჯანყებოდა.

აი, რა ვერ შეძლო „ქართული სცენის დიდებამ“. აი, რატომ გაეთიშნენ მის არსებაში „ტვირთი და მტვირთველი“.

მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ თითოეული ამ გმირის ასეთი პირქუში ცხოვრება და განაჩენი ავტორის სურვილის გამო კი არ ხდება, არამედ ცხოვრების ალტერნატივულ სიტუაციებში მათ მიერ გაკეთებული არჩევანის ლოგიკითაა განსაზღვრული. არჩევანის პრობლემა — აი, ოთარ ჭილაძის გმირთა ვარამის სათავე და მდინარეა.

ო. ჭილაძე დიდებულად ფლობს მწერლობის, როგორც „ადამიანთმცოდნეობის“ უძირითადეს პრინციპს: იმისათვის, რომ ადამიანს გაუგო, ჯერ იმის გაგებაა საჭირო, თუ როგორა გრძნობს თავს თავად ეს ადამიანი.

ისევე როგორც თავის წინა რომანებში, „რკინის თეატრშიც“ ის კლასიკური მწერლობის ამ დევიზის ერთგულია. გმირის თვითშეგრძნება მისი მწერლური სტილია.

ცხოვრების სცენაზე ადამიანის „თავფეხიანად, სულის ფსკერამდე გაშიშვლების“ დრამატული პროცესი მან ორმაგი ხედვის პრინციპს დაუმორჩილა. მკითხველის წინაშე ასე ეკვეთება აქტიორი, თავისი თვითშეგრძნებით და მაყურებელი, როგორც ხილულის მონაწილე და მოზიარე.

გმირის თვითშეგრძნებაში ოთარ ჭილაძე ზოგჯერ აღწევს ისეთ შეგძარწუნებელ სიღრმეებს, როდესაც ადამიანი დადის საკუთარი სხეულის გარეშე თვალით დანახვის გარეშეც. მისი გმირები ზოგჯერ საკუთარ ტანს ხედავენ, როგორც უცხოს, გარეშეს, სხვას, ისინი ზოგჯერ საკუთარ თავს განიხილავენ, როგორც მათი ფეხებით მოარული არსებას. გმირთა თვითშეგრძნების მთელი ეს დრამატული პროცესი, ცხადია, მწერლური თვითმეზანი არ არის. მხოლოდ საკუთარ სულში მზერაჩაბრუნებული ადამიანია ის არსება, რომელსაც ადამიანი შეიძლება ეწოდოს.

„რკინის თეატრის“ გმირები დროის ისეთ უწყვეტ ნაკადში ცხოვრობენ, სადაც უწყვეტობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთდროულობის მაუწყებელია.

„რკინის თეატრის“ მეორე ნაწილის სააზროვნო სიტუაციაში წამყვანი ადგილი, ძირითადად, გელას თავგადასავალს უკავია. მითის მომაკვდავი და აღორძინებული გმირების მსგავსად რომანში სწორედ გელას უხდება სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საუფლოსთან ზიარება. ამ გზის გავლაა ცხოვრების ის აუცილებელი სკოლა, საიდანაც ის განახლებული, აღორძინებული, სიბრძნეს ნაზიარები უნდა დაუბრუნდეს ქვეყანას.

გელას ხვედრიდან რომანში განსაკუთრებითაა აქცენტირებული მისი მიმართება მამასთან. გელას ქცევის სტერეოტიპში მამის გენები ცოცხლდება. ისევე როგორც ო. ჭილაძის წინა რომანებში, „რკინის თეატრშიც“ ძალაშია დევიზი: „შვილი გაამხელს მამას“. რომანის კონტექსტში შვილის მიერ მამის გამჟღავნების პროცესი ახალ საფეხურზე ხორციელდება. რაც მამამ სიცოცხლეში ვერ შეძლო — ბრძოლა საკუთარ თავთან, — ის შეძლო შვილმა.

ყმაწვილი ხვდება „ბრტყელსახიანი“, „აირწინაღიანი“ და „სათვალიანი“ კაცების იზოლირებულ სამყაროში.

თითოეული მათგანი ცხოვრებისეული ფილოსოფიის სიმბოლოა. ერთი ინტელექტუალია, მეორე — ჰედონისტი, მესამე — პროფესიონალი ბორეტმოქმედი. მათი ცხოვრებისეული ფილოსოფია იქცევა გელასათვის თვითგაგების სტიმულად.

პირქუში, ბასრი და ჩამუქებულია ის სამყარო, რომლის კონტურებიც ხან მკვეთრი ხაზებით, ხანაც მსუყე საღებავებით გამოჰყავს ო. ჭილაძეს. მაგრამ მის რომანს, ისევე როგორც მთელ მის შემოქმედებას, გასდევს საოცრად საზიემი, ამაღლებული, ნათელის ბნელზე გამარჯვების სადღესასწაულო განცდა.

შეცდომა იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ასეთი ემოცია ო. ჭილაძის მიერ მიღწეულია სიცოცხლისა და ადამიანის სიდიადის შესახებ დეკლარაციული განცხადებებით. არა, ეს განცდა მიღწეულია ამ პირქუში სინამდვილისთვის თვალის უფიზხლესი გასწორების უნარით, მისი უღრმესი შრეების წარმოჩენის სურვილით, აზრის სიმახვილით, გამჭრიახობით მოგვრილი აღტაცების განცდით.

ო. ჭილაძის მიერ განსჯისა და შინაგანი რეფლექსის საგნად ქცეული ყოველი დეტალი, ნიუანსი, ფაქტი იძენს ბნელში გაელვებული მეტაფორის სახეს, როგორც სიბნელეზე აზრისა და სინათლის გამარჯვების წყარო.

**გიორგი გაჩეჩილაძე.**

**ქრონიკა**

# ბოლო 13 წლისაა

**ბაქოს** სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში უამრავ სტუდენტთა შორის მკვეთრად გამოირჩევა ერთი. იგი სიმაღლით ბევრად დაბალია თავის ამხანაგებზე. ეს 13 წლის კოსტია სლავინია — სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი. მისი თანატოლები ჯერ კიდევ მეექვსეკლასელები არიან, კოსტიას კი თავის სტუდენტურ ჩანთაში. ფონენდოსკოპი, ექიმის ქათქათა ხალათი და ქუდი უდევს.

როგორ იეწყო ამ სტუდენტის ცხოვრება?

ორი წლის კოსტიამ უკვე იცოდა კითხვა — დამოუკიდებლად ისწავლა მეზობლის ბიჭის ანბანით. ხუთი წლისა იყო, პირველ კლასში რომ შევიდა, 12 წლისამ კი ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა. მაგრამ სტუდენტის მერხისკენ კი გზა ილინა არ აღმოჩნდა. ექიმებს ეშინოდათ, რომ უმაღლესი სასწავლებლის რთული პროგრამა იმოქმედებდა მის, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ორგანიზმზე. სპეციალურ საექიმო კომისიას უნდა მიეცა დასკვნა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ გამოცდილი პედაგოგები გულმოდგინედ ამოწმებდნენ მისი ცოდნის დონეს, თუმცა სკოლა მან წარჩინებით დაამთავრა. ასე რომ, ბევრი სიძნელე იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა. უკან დარჩა პირველი სტუდენტური სესიაც, ჩათვლის წიგნაკში მხოლოდ ხუთიანებია.

**სურათზე: სტუდენტი კოსტია სლავინი.**

# ლაზერის მაგია

ეს არის ჰოლოგრამები, სამგანზომილებიანი გამოსახულება, რომელიც მიღებულია ლაზერის სხივის საშუალებით.

კინოჰოლოგრაფიის პირველი დემონსტრირება პარიზის პიუგიუს ფონდის მიწისქვეშეთში განახორციელა ორმა ფრანგმა მეცნიერმა. ესენი არიან გი ფიმანი და კლოდინ ენზიმანი, ვენსენის უნივერსიტეტის მასწავლებლები, რომლებიც დიდი ხანია კინოს პრობლემებზე მუშაობენ, მაგრამ მხოლოდ ჰოლოგრაფიამ მისცა მათ საშუალება პირველმაკვალავთა გრძნობა განეცადათ.

კლასიკურ კინოსა და კინოჰოლოგრაფიას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც გასული საუკუნის „ზოოტროსნსა“ და კინოს შორის (ზოოტროსნს უწოდებდნენ მბრუნავ მუყაოს ცილინდრს, რომელსაც ჰქონდა ხვრელები, ფიგურების მოძრაობის ეფექტს რომ ქმნიდნენ).

შემთხვევით არ აურჩევიათ მეცნიერებს თოლიები. თოლიებით დაიწყო ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინათ ეტიენ ჟიულ მარეიმაც — ცნობილი ძმები ლუმიერების, პირველი „მოძრავი კადრების“ მამამთავრების ერთ-ერთმა წინამორბედმა.

ერთსა და იმავე ჰოლოგრაფიულ ფირფიტას ერთმეორეზე ედება თოლიები — 20 ცალკეული ჰოლოგრამა. მოკლედ ავხსნით: ფრენის მომენტის თითოეული ჰოლოგრაფიული სურათი გადაღებულია სხვადასხვა კუთხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფირფიტა ფრინველთა ფრენის შესახებ სრული ინფორმაციის მატარებელია. მაგრამ მაინც როგორ გამოვიწვიოთ მაყურებლის ალქმაში ფრენის ეფექტი? პრობლემა გადაწყდა მბრუნავი სარკის მეშვეობით. სარკე სხვადასხვა კუთხით „გადმოსცემს“ სხვადასხვა ჰოლოგრამას და მაყურებელი ხედავს... რაგორ მიფრინავენ თოლიები.

ორფერი (მწვანე და წითელი) გამოსახულება რომ მიეღოთ, გამოიყენეს ორი ლაზერი: კრიპტონული (წითელი ფერისათვის) და არგონული (მწვანე ფერისათვის). ლაზერები პარალელურად არის განლაგებული. მოძრაობის ილუზია წარმოიშობა სარკის ბრუნვის შედეგად, რომლის სიჩქარეს ელექტრონიკის საშუალებით არეგულირებენ.

„ეს მხოლოდ დასაწყისია, ძალზე არასრულყოფილი, — ამბობენ ფრანგი მეცნიერები. — მაგრამ გზა ხსნილია და მალე ერთ კინოლენტს შეიძლება დაადოთ ათასამდე ჰოლოგრამა, როგორც ჩვეულებრივ ფილმში“.

კინოჰოლოგრაფიისადმი უკვე დიდი ინტერესი გაუჩნდათ როგორც კინოპროდიუსერებს, ისე კინორეჟისორებსაც.

**„პარალელეპი“ (სოფია). — ახალი ამბების სააგენტო.**







# შეხვედრა ფოტოხელოვნებასთან

**ახლახან** პროფკავშირთა თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო თბილისელ ფოტომოყვარულთა შემოქმედებითი შეხვედრა საქართველოს პროფკავშირის კულტურის სასახლესთან არსებულ რესპუბლიკურ ფოტოკლუბ „საქართველოს“ წევრებთან.

შეხვედრას ფოტომოყვარულთა გარდა დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის და საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტების სტუდენტები, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საქალაქო ფოტოკლუბის წევრები. თავიანთი ახალი ნამუშევრები წარმოადგინეს და შემოქმედებითს გეგმებზე ილაპარაკეს რესპუბლიკის უფროსი თ